პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ბრძოლის ხმა

1933 წ. თებერვალი
პარიზი

№ 30

1933 — FEVRIER
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა ⁝ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორმოცი წელი

ამა თებერვლის თვეში სრულდება ორმოცი წელი მას შემდეგ რაც ჩაისახა, შედგა და გამოვიდა საზოგადო სარბიელზე ქართველ სოციალდემოკრატების პირველი ჯგუფი. ჯგუფი ერთობ რიცხვით მცირე, მაგრამ საკმაო გაბედულობით, თაოსნობით და ენერგიით აღჭურვილი.

ეს იყო დრო მძიმე და ბნელი, დრო საშინელი პოლიტიკური რეაქციის, მორალური დავარდნის და საზოგადო უძრაობის. ამ საერთო წყვდიადში ქართული აზროვნება იყო კიდევ უფრო ჩაბნელებული, ერთ წერტილზე გაყინული და დაობებული. იდგა მაღლა ყოვლად მრისხანე მთავრობა და მის წინაშე დაბლა დაჩოქილი საზოგადოება. მოთხოვნილების ალაგას თხოვნა, მოძრაობის ალაგას უქვეშევრდომილესი გრძნობა, თავისთავის იმედის გაქრობა, თავის ძალღონის არარაობა, აზრის და ერის ტყვეობა—აი მაშინდელი დრო მწარეთ მოსაგონარი და საბედნიეროთ სამუდამოთ გამქრალი.

და განა არ იყო ძალა ხალხში დაგროვილი, ნებისყოფა აღორძინებული, გაბედულობა მომწიფებული? იყო და ის მუდამ არის, მაგრამ არ იყო მისი ხელმძღვანელი, მისი მიმგნები, მისთვის ასპარეზის გამშლელი და ფრთების შემსხმელი. იმ დროს ვინ იფიქრებდა ხალხის ძალაზე, მის თაოსნობაზე, მის მიერ თავისთავის პატრონობაზე. პატრონნი ისხდენ ნებივრათ მაღლა, ყმანი წელში გატეხილნი დაბლა, ხოლო შუაში პირველთა წინაშე მახვეწარნი და მეორეთა «მხსნელნი». ერთნი ასეთ მხსნელათ აღიარებდენ ინტელიგენციას, მეორენი თავად-აზნაურობას. არავინ არასოდეს ხალხს.

ამ შავბნელ დროს, ამ საერთო დავრდომილებაში გაისმა პირველი ხმა პირველი სოციალ დემოკრატების, მიმართული ხალხისადმი: შენი ბედი შენ ხელთ არის, ჩაგრულნო და დევნილნო შეერთდით! ეს ნიშნავდა ძირბუდიანათ უარისყოფას გაბატონებული აზროვნობის, მიღებული ტაქტიკის, თხოვნების და ჩოქის ყველა გზების. ამით იმსხვრეოდა ყველა ძველი კერპი, ძირს ცვივოდა თფილი ადგილებიდან მაღლა მყვირალნი, მთელი გუნდი ხელშეუხებელი ბურჯების, შერიცხული წმიდანების. აზროვნობა გაიყო ორ მკაცრათ განსხვავებულ მიმდინარეობათ: ძველი, მაღლიდან შველის მაძიებელი, ახალი, დაბლიდან ცხოვრების ჩარხის აღმომჩენი. ამათ შორის ხიდი ჩატყდა, ბრძოლა გაჩაღდა. ბრძოლა ხანმოკლე და სწრაფი; პირველი ჩქარა დამარცხდა, ის ადრე მოსწყდა გარემოებათა სრბოლას და ცხოვრებას დაეპატრონა ახალი გეზი.

მოხდა საოცარი ამბავი, სულ მოკლე დროში. ათიოდე წელიწადში ქართველი ხალხი დაიძრა, ხელიხელს მისცა და მოძრაობის ფერხულში ჩაება. მის მაღლა მდგომი საზოგადოება მას გაყვა, ისიც თვით მოქმედებას მიეცა და ძველი აზროვნების გზა დასტოვა. ერმა მონახა დასაყდნობი ბერკეტი, თავისი სული დაგული, თავისი მარჯვენა ხელი. ის დაეყრდნო თავის თავს, აიწია, აღდგა და თან აიყოლია მთელი მასზე დაყრდნობილი სოციალური შენობა; მისი დამპალი ნაწილები დაიშალა, საღი დარჩა და ასე მოხდა ნაციონალური ორგანიზმის სულიერი და ნივთიერი გამოჯანსაღება. ის მტკიცეთ დაადგა თავისთავის პატრონობის გზას: მისი ფარხმალი გახდა თვითმოქმედება, თვითმოძრაობა. მისი მომავალი გამოიჭედა. ის აღარ დაიკარგება.

და დღეს, ამ დიადი განცდის და გაჭირების ხანაში, იგივე პარტია, რომლის საფუძველი ამ ორმოცი წლის წინ ჩაიყარა, დგას იმავე ერის გულში, უდრეკი, უშიშარი, მას უძღვება და ემსახურება. დგას მასან ერთათ იგივე ერი, იგივე დევნილი ხალხი, რომელმაც ფეხი აიდგა და პოლიტიკურათ დავაჟკაცდა იმავე პარტიის მეთაურობით, დგას სულით მაგარი, იმედით სავსე და მტრის მესაფლავეთ გამზადებული.

ორმოცი წლის ბრძოლა და თავის დადება ნაყოფიერათ ჩატარდა; მისი შედეგია მრავალი გამარჯვება და დამარცხებაში საოცარი გამძლეობა.

ეს ორმოცი წლის ბრძოლა არის უტყუარი თავდები მომავალი გამარჯვების, გამარჯვების საბოლაოს და ურყევის.

და აი ამ დღეს, ამ ორმოცი წლის თავს, მე როგორც ერთი დაშთენილი პირველი სოც.-დემ. ჯგუფისა, ულოცავ ქართველ ხალხს და მასან ჭირში და ლხინში განუყრელს ქართველ სოციალდემოკრატიას და შორიდან, უცხოეთიდან ვეუბნები: კეთილი იყოს პირველი ჯგუფის მოვლინება, პირველი საძირკვლის ჩაყრა, პირველი თესლის გადასროლა, თესლის ასე ნაყოფიერის, საძირკვლის ასე მაგარის, პარტიის ასე მტკიცესი და თავდადებულის.

ამ დღეს მწარეთ ვიგონებ პირველ პიონერთა უდროვოთ დაღუპულთ, ეგნატე ნინოშვილს-ინგოროყვას, ს. ჯიბლაძეს, კ. ჩხეიძეს, არ. წითლიძეს; ვიგონებ დევნილ და წამებულ მოხუცს ის. რამიშვილს, ყველა იმათ ვინც კიდევ ცოცხალია და ხალხს არ უღალატა, ვინც დარჩა ერთგული პირველი ჯგუფის, სოც.-დემ. პარტიის და არ გასტეხა ფიცი წმინდა ამ ორმოცი წლის წინეთ ხალხის წინაშე დადებული.

ულოცავ მრავალ ათას თავდადებულ ამხანაგებს, ციხეებში გამომწყვდეულთ, ცივ ქვეყნებში გადასახლებულთ, ჩეკის საკნებში წამებულთ და გამწარებულთ.

ქართველი სოციალდემოკრატია უძლეველია,
გამარჯვება ჩვენია!

ნ. ჟორდანია.

ქართველ სოც.-დემოკრატიის როლი ერში

საქართველოს ერის შენობაში გასულ საუკუნეში მოხდა ღრმა პოლიტიკური და სოციალური ცვლილება. შეწყდა მისი პოლიტიკური არსებობა, გადაძვრა მას საკუთარი სახელმწიფო სახურავი და დაიშალა ამ საფუძველზე აგებული შინაური საზოგადოებრივი ურთიერთობა. პირველ ყოვლისა დარჩა უსაქმოთ მრავალრიცხოვანი თავად-აზნაურობა, შექმნილი და გამრავლებული ისტორიულ ქარტეხილში განსაკუთრებით თავდაცვის მიზნით, როგორც მუდმივი შეიარაღებული საომარი ძალა. რაკი მისი მაგიერობა ბრძოლის ველზე იკისრა რუსეთმა, გარეშე სამხედრო ძალამ, ცხადია მას დაეკარგა ბატონობის ისტორიული გამართლება და გადაიქცა მხოლოდ მჭამელ წოდებათ. თუ წინეთ გლეხი მისთვის მუშაობდა როგორც დამცველი, მაშასადამე, სასარგებლო ძალის შესანახავათ, ახლა ის იწყებს მუშაობას მისთვის როგორც მისთვის უსარგებლო და მაშასადამე მძიმე ტვირთათ გადაქცეულის წოდებისათვის. მათ შორის ეკონომიური წინააღმდეგობანი მძლავრდება და ყმური დამოკიდებულება თანდათან აუტანელი ხდება. წინეთ საგარეო კონფლიქტები ფარავდა საშინაო ტკივილებს, ერის ნაწილთა შორის მეტი ერთობა და ერთიმეორის მოთმენა სიცოცხლის შერჩენის პირობა იყო. ახლა კი ყველა ამ საშინაო ტკივილმა აიშვა, თავისი შესაფერი სიდიდე და სიღრმავე მიიღო და სოციალური შუღლი გაიზარდა. წოდებათა შორის კონფლიქტმა იფეთქა.

თავად-აზნაურობა შეეცადა შეცვლილი გარემოებით, რუსის მოსვლით, ესარგებლა და თავისი სამიწათმფლობელო უფლებები გაემაგრებია, თავისი საკუთრება გაეფართოვებია. ის ეპატრონება იმ მიწებს, რაიცა წინეთ გლეხთა განკარგულებაში იყო, ამუშავებდა თვითონ და თავისი ნამუშიერის ერთ მცირე ნაწილს აძლევდა თავად-აზნაურს როგორც სამხედრო დაცვის მატარებელს. დაიწყო მათ შორის საადგილ მამულო დავა, ორივე მხარემ მიმართა რუსულ სასამართლოს და ამ თავის არბიტრაჟს მოსკოვი ხმარობდა ისე, როგორც რუსეთში—მემამულის სასარგებლოთ. თანდათან მოსული მთავრობა და დახვედრილი ბატონობა გადაიქცა ხალხის თვალში ერთ მთლიან მის სამტრო ძალათ. ბატონ-ყმობის მოსპობამ წოდებათა ეს სამტრო ურთიერთობა კიდევ უფრო გაამკაცრა, ვინაიდან ახლა სრულიად აშკარათ და საქვეყნოთ გლეხობას კანონის ძალით ჩამოეჭრა მისი უდაო მამულებისაგანაც და გადაირიცხა მემამულის საკუთრებაში. ამას თან მოყვა ნადელების, დროებითი ვალდებულების სისტემა, ნებაყოფლობით თავის დახსნა, მთელი რიგი გაუთავებელი, სადავიდარაბო და საჩხუბარი ურთიერთობა. რუსეთში რეფორმამ ერთი დაკვრით გაათავა ყოველივე ყმური დამოკიდებულება წოდებათა შორის, ჩვენში კი ის ისევ გაგრძელდა სხვადასხვა ფორმით, სულ ბოლომდე, რევოლიუციამდე. ამას ზედ დაერთო ხიზანთა საკითხი, მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება, ბატონისათვის მათი გაყრის მამულისაგან უფლების მიცემა, მათი უმამულო და უსახლკარო ბოგანო გლეხებათ გადაქცევა.

ამნაირათ, მეცხრამეტე საუკუნეში მომხდარ სახელმწიფო ცვლილებას მოყვა სოციალური ურთიერთობის გამწვავება. ბრძოლა წარმოებს ინდივიდუალურათ, ხანდახან მთელი სოფლობით, ლეგალური და არალეგალური ფორმებით, მაგრამ ბრძოლას არ ეძლევა არც საერთო სახალხო ხასიათი, არც პოლიტიკური შინაარსი. ქართველი ერი მეცამეტე საუკუნიდან დანაწილებული რამდენიმე სამეფოთ და სამთავროებათ, არ შეიცავდა ერთ მთლიან ეროვნულ პოლიტიკურ სხეულს და მისი საგარეო თუ საშინაო მოძრაობა არ წარმოებდა ერთ ხაზზე, ერთი ნების ყოფით და ორგანიზაციით. ყველა კუთხე თავის თავზე და თავის გზაზე ფიქრობდა; აჯანყებულ კახეთს რუსების წინააღმდეგ ქართლი ამშვიდებდა, გურიის აჯანყების ჩაქრობაში იმერლები იღებდენ მხურვალე მონაწილეობას, სოლომონ მეფის ბრძოლას აღმოსავლეთი საქართველო მხარს არ უჭერდა, გურიის დაცემას სამეგრელო ხელს უწყობდა და ასე სხვა და სხვა ნაწილი ერთი და იმავე ერისა ერთიმეორის წინააღმდეგ მუშაობდა. არც პოლიტიკური მთლიანობა, არც იდეიური, არც საზოგადოებრივი, ერი ერთი, ერთ ჭირში და ლხინში განუყრელი არ არსებობდა. ასეთ ნაციონალურ დაქსაქსულობას თან ახლავს კლასიური, წოდებრივი, სოციალური დაქსაქსულობაც.

აი ამ სოციალურ და ეკონომიურ ურთიერთობას მესამოცე წლეებიდან ემატება ერთი ახალი ფაქტორი: იხსნება და ვითარდება სამრეწველო დარგები, იჩეკება და ყალიბდება სამრეწველო მუშათა კლასი და დაქსაქსულ ხალხს ეძლევა რამდენიმე თავის მოსაყრელი პუნქტები. ქალაქს და სოფელს შორის ისკვნება ცოცხალი კავშირი, მუდმივი მისვლა-მოსვლა ერთი და იგივე მდგომარეობაში ჩაყენებული ფართე მასებისა; დღეს გლეხი-მეურნე, ხვალ სამრეწველო მუშა, შემდეგ ისევ მეურნე—აი ეს გარდაქმნა-გარდმოქმნის პროცესი ითრევს მოსახლეობის დიდ ნაწილს და ამზადებს ნიადაგს პოლიტიკური მოძრაობისას. ეს ახალი ობიექტიური მდგომარეობა სავსებით გამოეპარა საზოგადო მოღვაწეებს, რომელნიც განაგრძობდენ ქართველი ერის სტრუქტურის წარმოდგენას ძველებურათ და ძველებურათვე განაგრძობდენ აზროვნობას. სწორეთ ამ ახალი ფაქტორის აღორძინებით იწყება იდეიური უკან დაქანება, მესამოცე წლების ნაროდნიკული და ლიბერალური პოზიციების დატოვება და ბუნდოვანი პატრიოტიზმის ამარათ დარჩენა. ამ დროს მთელი საზოგადო მოღვაწეობა ამოიწურებოდა საკითხებით—სათავად-აზნაური ბანკის, წერა-კითხვის და დრამატიული საზოგადოებების და სათავად-აზნაურო კრებების და სხვა კიდევ ამაზე უფრო წვრიმალებით. ეს დრო იყო, რომელზედაც იტყვიან: «არსაიდან ხმა, არსაიდან ძახილი»-ო.

აი ასეთ სოციალურ და იდეიურ ატმოსფერაში გამოვიდა სამოქმედოთ პირველი სოციალდემოკრატიული ჯგუფი და ჩაუყარა საფუძველი პირველ ფართე მასიურ პოლიტიკურ მოძრაობას საქართველოში. ჯგუფის მიერ დათესილი თესლი ჩქარა გადაიქცა ჯეჯილათ, იშვა ორგანიზაციები, აღორძინდა პარტია, გარკვეული პროგრამით, ტაქტიკით და მუშაობით.

პარტიის ასეთი სამაგალითო ნაყოფიერი მუშაობა აიხსნება იმით, რომ ის თავიდანვე დაეყრდნო ხალხის ნამდვილ სულისკვეთებას, მის ნამდვილ ტკივილებს და ის გაიხადა თავის ზრუნვის საგნათ. ეს ტკივილებია ზემოთ დასახელებული სოციალური კონფლიქტების სერია, გლეხის აგრარიული და პროლეტარის შრომის საკითხი. შინაგანი სოციალური ბრძოლა, რასაც ხალხი სტიქიურათ, დაქსაქსულათ და უპოლიტიკოთ ეწეოდა საუკუნის განმავლობაში, გახდა სოც.-დემ. დასაყრდნობ ბაზათ, კვერთხათ, რომლითაც მან გააპო ერის პოლიტიკური გულგრილობა, თავი მოუყარა ხალხის დაპნეულ ნაკადულებს, გამოკვეთა ერთი მთლიანი ხალხური მოძრაობა, დაუპირდაპირა ის მთავრობას, მთელ სამართველო სისტემას, შთაუნერგა დემოკრატიული იდეები, თავისთავის ბატონობის და პატრონობის ათი მცნება, მისცა ერთი მაჯისცემა გურულს, მეგრელს, ქართლელს, კახელს—საუკუნოებით დაშორებულ და დანაწილებულ ქართვლის ერს, შექმნა მისგან ერთი მთლიანი საზოგადო ძალა და შევიდა აბობოქრებულ ისტორიულ ტალღებში ძლიერი ნებისყოფით, მასიური დარაზმულობით და ერთსულოვნობით.

ქართველ სოციალდემოკრატიამ გამოაქანდაკა ქართველი პოლიტიკური ერი.

დღეს ერი დგას ბრძოლის ველზე და ეყრდნობა უმთავრესათ თავის პირმშო შვილს—ქართველ სოციალდემოკრატიას...

როგორ იყო

ევროპიული ანუ მარქსისტული სოციალიზმი საქართველოში შემოვიდა ვარშავის კარებიდან და დაუპირდაპირდა რუსულ ნაროდნიკულ სოციალიზმს.

1890 წელს რამოდენიმე ახალგაზდამ დავათავეთ თფილისის სასულიერო სემინარია და სხვადასხვა დროს გავემგზავრეთ ვარშავის საბეითალო ინსტიტუტში შესასვლელათ. ამ დროს მარქსის მსოფლმხედველობას არ ვიცნობდით და არც გაგვეგონა ამის შესახებ რამე გარდა თვით სახელი მარქსისა და მისი წიგნის «კაპიტალისა», რაიცა არ წაგვიკითხავს. მე ჩემდა თავათ უნდა ვთქვა, რომ გავემგზავრე როგორც ნაროდნიკი ლავროვის შკოლისა და ვებრძოდი მიხაილოვსკის მიმართულებას. ვარშავაში ჩავედი აგვისტოს გასულს 1891 წ. დავაარსეთ თვითგანვითარების ქართველთა წრე, სადაც წავიკითხე მოხსენება «რა არის პროგრესი», თავიდან ბოლომდე რუსული სოციალიზმის ტენდენციის[*]. 1892 წ. იანვარში დაარსდა რუსი სტუდენტების წრე და მიგვიწვიეს ქართველებიც. ეს წინადადება მივიღეთ ორმა, მე და ფ. მახარაძემ. და აი აქ პირველათ გავიცანი მარქსისტული მსოფლმხედველობა. ამ წრის ხელმძღვანელ გვარათ ვიტკინს მოქონდა კაუცკის გერმანული წიგნი, იქვე გვითარგმნიდა და გვაცნობდა ისტორიულ მატერიალიზმს. ეს იყო ჩემთვის დიდი აღმოჩენა, რამაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ჩემს შეხედულებებზე. უტოპიურ სოციალიზმს თანდათან ვეთხოვებოდი და რამდენიმე თვის მეცადინეობის შემდეგ მიხაილოვსკის ლოვროვიც მივაყოლე. ამავე დროს ხელში ჩამივარდა პლეხანოვის ნაწერები, განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა წიგნაკმა ტიხამიროვის წინააღმდეგ. ამ რუსულ ლიტერატურას ვაგზავნიდით საქართველოში, სადაც კავშირი და მიწერ-მოწერა მქონდა სამ პირთან: ეგნატე ნინოშვილთან, სილიბისტრო ჯიბლაძესთან და დიმიტრი კალანდარიშვილთან. ესენი თავის მხრივ აცნობდენ ახალ ლიტერატურას თავის მეგობრებს.

იმავე წელს ზაფხულში მე ავათ გავხდი ფილტვებით და ექიმების რჩევით გავემგზავრე სამშობლოში. ზაფხული გავატარე ჯუმათის მონასტერში, მისი წინამძღვარის ბინაზე. იქ რამდენიმეჯერ მინახულეს ეგნატემ და სილვამ და გვქონდა ხანგრძლივი ბაასი რევოლიუციურ მუშაობაზე. ენკენისთვეში მე გავემგზავრე ს. ჯიბლაძისას ამაღლებაში და იქიდან ჩვენ ორივე წავედით სურებში ის. რამიშვილის სანახავათ. ვნახეთ ისიდორე, მისი შკოლა, მისი საქმე, წმინდა ნაროდნიკული მოძღვრებით, გეზით და მიდრეკილებით. გვქონდა ლაპარაკი საერთო მუშაობის და სამუშაო პროგრამის შემუშავების შესახებ. მე დავბრუნდი შინ, ლანჩხუთში და დამხვდა ეგნატე, ჭიათურიდან ჩამოსული. მითხრა, რომ იქ მან აღმოაჩინა დიდათ მომზადებული მარქსისტი და უეჭველათ უნდა გაიცნოვო, მისი ვინაობაა კარლო ჩხეიძეო, თან იხუმრა, სახელიც მოწმობს მის მარქსისტობასო. დამისახელა აგრეთვე მრეწველი კაკაბაძე, როგორც ჩვენი წრის კაცი, რამაც გამაკვირვა, სად კაპიტალისტი და სად სოციალისტი. ერთი სიტყვით აღმოჩნდა რომ მარქსისტები გურიას გარეთაც არიან და საჭიროა მათი თავის მოყრა. ეგნატე გაემგზავრა უკანვე და იქიდან მაცნობა, რომ კრების მოხდენა შეიძლება ყვირილაში ი. კაკაბაძის ბინაზე და თუ თანახმა ვარ აცნობებს ყველას. მაშინვე თანხმობა ვაცნობე. შობა ახალწელს შუა ყვირილაში შევიყარეთ საქართველოში მყოფი ყველა მარქსისტები ანუ ისეთები რომელთაც თავი მარქსისტათ მოქონდათ. აქ იყვნენ: ე. ნინოშვილი, კ. ჩხეიძე, მიხა ცხაკაია, დ. კალანდარიშვილი, ის. რამიშვილი, არ. წითლიძე, ევგენი ვაწაძე, ი. კაკაბაძე, ის. კვიცარიძე, რ. კალაძე, ბოლოს კრების გათავების შემდეგ ჩამოვიდა ს. ჯიბლაძე. საქართველოს გარეთ მარქსისტათ გვეგულებოდა მხოლოდ ფ. მახარაძე. გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და კამათი. არავის არ აღმოაჩნდა რაიმე დაწერილი გეგმა. თავშივე გამოირკვა ორნაირი მიდრეკილება—ძველი უტოპიურ-ნაროდნიკული და მარქსისტული. უმრავლესობა აშკარათ პირველ ხაზზე იდგა და წმინდა წყლის მარქსიზმი აგრარიულ ქვეყანაში უნიადაგოთ მიაჩნდათ. ამ დავაში ჩემი ხაზი იყო ერთი: მარქსიზმის დანერგვა ჩვენს ნიადაგზე, მისთვის ნაციონალური და დემოკრატიული შინაარსის დამატებით. ამ კამათის დროს ევ. ვაწაძემ ჩამოსწერა იქვე რუსულათ უმრავლესობის ტენდენციის პრინციპები, მსგავსათ პროგრამისა, რაიცა შეიცავდა ათიოდე მუხლს. ეს იყო განმეორება უტოპიური სოციალიზმის მთავარი დებულების: აჯანყება, რევოლიუციური მთავრობა, სოციალიზმის დამყარება, სწორეთ ის, რაც შემდეგ ჩვენ თვალწინ გაიშალა ბოლშევიზმის სახით. პროგრამაში ადგილი არ დაურჩა არც ნაციას, არც დემოკრატიას. ვაწაძის პროექტი იქნა მიღებული და კრება დაიშალა; ამ დროს ჩამოვიდა ს. ჯიბლაძე და მასან ერთათ გავემგზავრეთ გურიაში. ჩვენ ორისათვის აშკარა იყო მარქსიზმის დამარცხება ყვირილაში და გადავსწყვიტეთ საქმის შებრუნება. ჩვენ მოგვემ-

---

[*] ეს მოხსენება ისე როგორც სხვა ჩემი ხელნაწერები დიდი ხანია აბარია ერთ ჩემს ყოფილ მეგობარს თფილისში და მიკვირს, რომ ამდენ ხანს არ მიბრუნებს.

ხრო ეგნატეც და მან ითავა ხელახალი კრების მოწვევა იმ პირობით, რომ მე წარმოვადგენდი პროგრამის პროექტს, განსხვავებულს ყვირილისაგან.

მე მაშინვე შეუდექი და იანვრის გასულს ვაცნობე ეგნატეს: მზათა ვარ. დავნიშნეთ მეორე კრება იმავე ჯგუფის თფილისში თებერვლის გასულს, ყველიერის უკანასკნელ სამ დღეს. შეიკრიბა იგივე ჯგუფი, გარდა რამდენიმე პირისა, რომელნიც სიშორის გამო ვერ ჩამოვიდენ (ის. რამიშვილი და სხ.). პირველ ყოვლისა მოვახდინეთ გამოკვლევა იმის, თუ კიდევ არის ვინმე სხვა ეროვნების მარქსისტი. ამ მიზნით მივმართეთ სტეფანე დანდუროვს, რომელიც იცნობდა მემარცხნე ინტელიგენციას. მან გაგვიცხადა, რომ მარქსისტი მას არავინ ეგულება, და თვით მარქსიზმი რუსეთის სინამდვილეში, მით უფრო კავკასიაში, დიდი სიბრიყვეა. ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს, ევროპას კიდევ თავისი. გაიმართა კამათი. ბოლოს გვითხრა: კვირა საღამოს რევოლიუციური ინტელიგენციის «ვეჩერინკაა», მოდით იქ და ეგება იქ ნახოთ ვინმე თქვენი თანამოაზრეო. მოგვცა მისამართი და დავშორდით. მეორე დღესვე შევიყარეთ და ჩემი მოხსენება სახელწოდებით «რა ვაკეთოთ» წავიკითხე. მოხდა საკვირველი ამბავი: ყვირილის პროგრამა აღარავის გახსენებია, მისი დამცველი აღარავინ გამოსულა. ჩემი პროექტის დასკვნებს არავითარი კამათი არ გამოუწვევია, მხოლოდ დასაბუთება არ მიაჩნდათ საკმარისი და ითხოვდენ მის გაძლიერებას ისტორიული მაგალითებით. განსაკუთრებით ამ მხარეს აწვებოდა კ. ჩხეიძე. მეორე დღესვე შევედი «საზოგადო ბიბლიოთეკაში», გოლოვინის პროსპექტზე, გადმოვიღე დუბროვინის ისტორიული მასალები, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისის აწერილობა ჩვენში, შევავსე ჩემი მოხსენება და შემდეგ კრებაზე წარუდგინე ამხანაგებს. ეს იყო შაბათი თუ კვირა დილა. აქ ერთხმათ იქნა მიღებული ჩემი პროექტი და დამევალა გამომექვეყნებია ლეგალურ პრესაში.

კვირა საღამოს წავედით რევოლიუციურ საღამოზე. სამი ოთახი გატენილი იყო ქალითა და კაცით, რევოლიუციური სიმღერა, ცეკვა, მსუბუქი საჭმელი—აი «ვეჩერინკა». ვერავინ ნაცნობი ვერ ვნახეთ. ბოლოს მოგვწყინდა ამ სიცარიელეს ცქერა და დავაპირეთ წამოსვლა, ვეძებთ კარლოს. მას თურმე ხელში ჩაუგდია ვიღაც ნაროდნიკი და «ტყავს აძრობს», მივედით ჩვენც, თავი მოიყარა ხალხმა, გაკეთდა დიდი წრე, შეწყდა მუსიკა და ცეკვა, გაიმართა კამათი. ხმა გავარდა მარქსისტები გამოჩენილანო და ყველა მორბოდა ამ უცხო მხეცის შესახედავათ. ამ კამათის შედეგი იყო ის რაც დანდუროვმა გვითხრა—მარქსისტი თფილისში არ აღმოჩნდა. შავ ორშაბათს კიდევ შეიყარა ჩვენი ჯგუფი და გადაწყვიტა პრაქტიკული მუშაობის დაწყება, წერით, სიტყვით და ორგანიზაციების დაარსებით, პირველ ყოვლისა თფილისში*).

ამნაირათ. ჩამოყალიბდა ქართველ მარქსისტების პირველი ჯგუფი, გარკვეული პროგრამით და მოქმედების გეგმით. ამ ჯგუფს მე დავშორდი მანძილით, საზღვარ-გარეთ გავემგზავრე იმავე წელს მაისში, ჯგუფის დადგენილებით. მასან მქონდა მუდმივი მიწერ-მოწერა და კავშირი. ამ ჯგუფის საჯარო გამოსვლა მოხდა ეგნატე ნინოშვილის საფლავზე და მას დაერქვა მესამე დასი. ეს ლეგალური სახელი სწორეთ მისწრება იყო ამ არა-ლეგალური ხალხისათვის და ჩვენც ეს სახელწოდება შევიფერეთ ყველა ჩვენ ლეგალურ გამოსვლაში.

შემდეგ ამ ჯგუფს ჩამოშორდენ ზოგი მისი წევრები და დაუბრუნდენ რუსულ სოციალიზმს ბოლშევიზმის სახით. ყვირილის პროგრამმა ისევ აღდგა. ეს ორი სოციალიზმი, რუსული და ევროპიული, დღესაც ერთმანეთს ებრძვის.

ნ. ჟორდანია.

---

*) «რა ვაკეთოთ» მაშინვე დაუტოვე «ივერიას» დასაბეჭდათ, არ დაბეჭდა; შემდეგ გაუგზავნე «მოამბეს» და დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ გამოაქვეყნა 1894 წ. ორ ნომერში. სათაური გამოუცვალე. დავარქვი: ეკონომიური წარმატება და ეროვნება.

◆

„ნაფიცვარა“

ნიგოითის სადგურის პირდაპირ, სამხრეთით, აღმართულია საკმაოთ მაღალი გორა. მას ფარავს სამი მხრით ნიგოითის ქედი. ღიაა მხოლოდ ჩრდილოეთით. საიდანაც იშლება საუცხოვო პონორამა, რომელიც შორს, შორს. კარგ დარებში ფოთამდისაც მიდის და იქ, ზღვის უფსკრულში ინთქება. ძირს, დაბლა, ვიწრო სიგანით, ქედის კალთებსა და რკინის გზის ლიანდაგს შუა გაწოლილია სოფელი ნიგოითი. ლიანდაგს გადაღმა მოსჩანს ვეებერთელა ფართობი, რომელიც გაჭიმულია თვით სამეგრელომდე. აქ, ზედ საზღვარზე, მას შემორტყმია მდინარე რიონი, განთქმული თავის სიგიჟით იქ, სათავეში და მის ახლო-მახლო; აქ კი მძიმეთ, თითქო მოღლილ-მოქანცული, ასე ზანტად რომ მოიზლაზნება, ხან ვიწრო ზოლად გაწვება, ხან ფართეთ, უგზო-უკვლოდ მთელ არე-მარეს მოედინება და მდორე ტბასავით ჩერდება...

თვით გორა შემოსილია დაბალი ხეებით, შქერიელებით, ჯაგებით და ბუჩქნარით. აი ამ გორაზე, მის საკმაოთ ვრცელ ვაკე და სუფთა მწვერვალზე, 1901 წელს, გაზაფხულის ერთ ბნელ ღამეში, ნიგოითის მთელმა საზოგადოებამ შეფიცა ერთმანეთს ძმობა, ერთობა, თავისუფლება. მას შემდეგაა რომ ამ გორას ეწოდა «ნაფიცვარა», დღემდე ატარებს ამ სახელს და, როცა რევოლიუციამ გაიმარჯვა მის ერთად-ერთ ძირწიფელაზე გადმოკიდებულ იქნა ძველი დროშა, რომელიც როგორც მოწამე აქ დაწყებული ბრძოლისა, აგონებდა სოფელს წარსულს, ამხნევებდა აწმყოში და უთითებდა მომავლისაკენ.

უტეხი იყო ეს ფიცი, მკვიდრი და ურყევი, მთელი ათეული წლების განმავლობაში, მიუხედავად ათასგვარ სივაგლახისა, ასეთი სიმტკიცით რომ შეინახა სოფელმა და დღესაც ინახავს...

ეს იყო პირველი ფიცი დადებული გლეხკაცობის მიერ, რათა საერთო ბრძოლით გაეუმჯობესებიათ თავის მდგომარეობა; ეს იყო პირველი შეხვედრა სოც. დემოკ. და სოფლის მშრომელთა; აქ პირველად ჩაიყარა ჩვენსა და სოფელს შორის ის ურყევი და უწყვეტი კავშირი, რომელიც დღემდე ვერ გაჰგლიჯა დროთა ვერავითარმა უკუღმართობამ. აქ პირველად ნახა გლეხობამ მისი დამცველი. მისი ჭირ-ვარამის მოამაგე, მისი ჭირში და ლხინში მოზიარე, მის ზრახვათა მესაიდუმლე, მის გულის ნადებთა გამომცნობი. მისი ინტერესების თავდადებული დარაჯი. ამიტომაა რომ დღემდე ის არ შორდება სოციალდემოკრატიას. დღემდე მასთან იწევს ზევით, მასთან ეცემა, მასთან ფორხილდება, მასთან დგება ფეხზე, წელში იმართება, თავს მაღლა წევს, აწმყოს უძლებს, მომავალს შესტრფის...

რა დაიფიცეს ამ ღამეს და როგორ?

... შუადღისას ამხ. ლ. სამსონაძის ბინაზე მოხდა უკანასკნელი კრება სოფლის წარმომადგენელთა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სოფლელები უკვე გაფრთხილებულია; რომ ყველა დიდის თანაგრძნობით შეხვდა კრების ამბავს; რომ მოსალოდნელია მოვიდეს მთელი საზოგადოება, 700-800 კაცი. არ იციან მხოლოდ ადგილი თუ სად უნდა შეიყარონ თავი. ეს კი ამხ. სამსონაძეს ქონდა დავალებული და მას სწორეთ ეს გორა აერჩია, როგორც უფრო მოხერხებული და შესაფერი.

ადგილი მოწონებულ იქნა. გადაწყდა რომ წარმომადგენელნი საღამოს პირად დაუვლიდენ თავიანთ რაიონებს, გააცნობენ შესაკრებ ადგილს, თვითონ კი კრების ახლო-მახლო დაიცდიდენ საჭირო ზომების მისაღებად, თუ ვინცობაა საფრთხე რამე გაჩნდებოდა.

სხდომა გათავდა. ყველა თავიანთ საქმეებზე წავიდენ. მე იქვე დავრჩი და შეუდექი ფიცის ტექსტის შედგენას, მარა ეს არც ისე ადვილი გამოდგა. მთელი საათები ვწვალობდი, რამდენი დავსწერე და დავხიე. ბოლოს მოხერხდა იმ ტექსტის შედგენა. რომლითაც იმ ღამეს მოზღვავებული ხალხი დავაფიცე და რომელიც შემდეგ გადაცემულ იქნა სხვა რაიონებში ფიცის მოსახდენად.

ფიცის შინაარსი მეტად მარტივი იყო. ვფიცავდით რომ ვიქნებოდით ერთად, არ ვუღალატებდით ერთმანეთს; არ გავცემდით ერთმანეთს და თუ ჩვენს შორის აღმოჩნდებოდა მოღალატე და გამცემი, ის იქნებოდა «სახელითა ხალხისათა» (ნაცვლათ «სახელითა ღვთისათა»), შეჩვენებული, განდევნილი და თავდებოდა ასე: «წყეულმცა იყოს მოღალატე და გამცემი. ამინ. ამინ. ამინ».

შებინდდა. თითქოს ბუნებაც თანაუგრძნობდა ჩვენს დაწყებულ საქმეს და თავის თბილი და წყნარი საღამოთი საამოთ ხდიდა ტყისკენ გასეირნებას. ხალხი დაბალ ვახშმობის შემდეგ უნდა დაძრულიყო დანიშნულ ადგილისაკენ. ჩვენ, მე და ორიოდე წარმომადგენელი, უფრო გვიან წავიდოდით.

დღევანდელ მკითხველს არ შეუძლია წარმოიდგინოს ის გულის ფანცქალი, ის სულიერი განცდა, რომლითაც იმ დროს ჩვენ ვიყავით აღსავსე. რა სარწმუნოებრივი, რა ღვთაებრივი მადლით აღვსილი ვისწრაფოდით იმ წმიდა ადგილისაკენ, სადაც პირისპირ შევხდებოდით იმ ხალხს, რომელიც იწყებდა იმ დიად, მძიმე და ძნელ ბრძოლას, რომელიც ვინ იცის რას უქადდა მას...

არჩეულ გორას კალთა შეფარული იყო მიმავალი ხალხით. სიბნელის გამო აქა იქ სპიჩკის წუთიერი სინათლე გამოკრთებოდა ხოლმე—ცხადია გზის გასაკვლევათ.

თითქმის შუაღამე იქნებოდა როცა დანიშნულ ადგილას მივაღწიეთ. ხალხის უმეტესობა უკვე მოსულიყო. დაგუბაშებულიყო გორას მწვერვალის შეფენებაზე და სულგანაბული გველოდა. მივედით თუარა გაისმა ფუჩუნით:—მოვიდა, მოვიდაო, მარა ვინ მოვიდა. ვინ არის მოსული არავინ იცის.

უკვე შეწყდა ხალხთა დენა. ამხ. ლ. სამსონაძემ სიჩუმე ითხოვა. ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე, რომელსაც მხოლოდ ნელი სიოთი შერხეული ფოთოლთ შრიალი არღვევდა. გარდა მზვერავთა, ყველა მიწაზე ისხდა. მე შუაში ჩავდექი და დავიწყე: ამხანაგებო! დადგა განკითხვის დღე. დღეს ვიწყებთ იმ ბრძოლას, რომელიც მოგვცემს იმას, რაც გვერგება. დაგვიბრუნებს რაც წაგვართვეს.. ჩვენი ოფლით ნაშრომი ჩვენვე უნდა გვეკუთნოდეს და სხ. და სხ. მთელი ქვეყნის მუშები ჩვენთანაა და წავიკითხე თფილისის სახელოსნოს გაფიცვის გამო გამოცემული ძველი პროკლამაცია. შევფიცოთ ერთმანეთს რომ ვიქნებით ერთად, ვიბრძოლებთ სანამ არ გავიმარჯვებთ, ჩავქოლავთ მოღალატეს და გამცემს. ამის თქმაზე კრება, როგორც ერთი კაცი, წამოიშალა და უხმოთ ფეხზე დადგა. მე დავიწყე ჩემი ფიცის ფურცლის კითხვა. ვკითხულობდი სანთლის სინათლეზე და შევნიშნე რომ ჩემს ახლო მდგომნი სამი გაშვერილი თითით ხელაწეული უქუდოთ იდგნენ. მეორე დღეს მარწმუნებდნენ რომ ასე იდგა მთელი კრება. როცა კითხვა გავათავე, გავიგონე რომ ხალხმა ერთხმად ფუჩუნით გაიმეორა ფიცის ბოლო სიტყვები: «წყეულმცა იყოს. ამინ.». ხალხის ფუჩუნი გრილმა ნიავმა იხელთა, ქედის ნაპრალებს მიურბენინა და იქიდან, ვითა დასტური. ღამის წყვდიადში, გაისმა ყრუ ამოძახილი—«ამინ. ამინ.».

კრება გათავდა ამხ. სამსონაძემ განაცხადა:—დაიშალეთ წყნარათ, საშიში არაფერია და ხვალ გაცნობებთ თუ რა უნდა ვქნათო.

ხალხი ფეხაკრეფით ძირს დაეშვა, სახლებისაკენ გაემართა იმ შეგრძნობით რომ რაღაც დიდი რამ დაიწყო, რომელიც მისგან მეტისმეტ სიფრთხილეს, თავდაჭერილობას, დაფიქრებას, შორს გახედვას და სიდინჯეს მოითხოვს....

მე მეცვა ვიღაცას ჩოხა, ჩემზე უფრო მაღალი სრული ტანის; ალბათ, ეს იყო საბაბი, რომ მეორე დღეს მთელ არემარეს მოედო—ვიღაც მღვდელმა ნიგოითის საზოგადოება დააფიცა მემამულეების წინააღმდეგო. და, ამასთან დაკავშირებით მთელი ლეგენდები გავრცელდა. სამაზრო ადმინისტრაცია დიდხანს ეძებდა ამ მღვდელს და არა ერთი ნამდვილი მღვდელი იქნა საეჭვოთ გამოცხადებული და ზვერვის ქვეშ დაყენებული...

წელს, გაზაფხულზე, შესრულდება 32 წელი მას შემდეგ, რაც გურიის გლეხკაცობამ პირველად დაიფიცა ძმობა-ერთობის ერდგულებაზე და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ უტეხ[illegible]

«ნაფიცვარა» დღეს კიდევ უდრ[illegible]ლი დასცქერის არე-მარეს, ვინემ ამ ფიცის მიღებამდე. მარა ის სდგას თავის ადგილას ქედმოუხრელი, იმედით აღსავსე. რადგან იცის, რომ ფიცი მაშინ დადებული—უტყუარი თავდებია ქვეყნის აღდგენის, მისი აღორძინების, მისი კეთილდღეობის....

გრ. ურატაძე.

◆

ჩვენი პარტიის ეროვნული სახე და საქმე

40 წლის სიცოცხლის მწვერვალზე ფრიალებს დროშა საქართველოს ს. დ. პარტიის, დროშა ერის და შრომის თავისუფლების, დროშა საკაცობრიო ბედნიერების!

საქართველოს ეკონომიური განვითარების და სოციალური დიფერენციაციის ნიადაგზე იშვა ჩვენი პარტია, 40 წლის წინათ!

გათვითცნობიერება და შეკავშირება მშრომელი მასის, გაერთიანება და განმტკიცება ქართველი ერის, ქართველი დემოკრატიის და, მით წინსვლა სოციალიზმისაკენ—აი სიტყვა და საქმე, მარადი ბრძოლა საქართველოს სოციალდემოკრატიის და მისი პირველი მებაირახტრის ამხ. ნ. ჟორდანიასი!..

ქართველი ერი დაეყრდნო ს. დ. პარტიას, რადგან ს. დემოკრატია ჭეშმარიტათ იბრძოდა მისთვის, უყვარდა იგი!

«საზღვარგარეთელის» წერილი «ევროპისაკენ», აჰ 40 წლის წინათ, («ივერია»—№ 163—1893 წ.)—ნათელი სახეა ჯერ კიდევ ახალგაზდა მისი ავტორის, ნ. ჟორდანიასი—სახე—საქართველოს ს. დ. პარტიის პირველი დამაარსებელის—მისს ეროვნულ გრძნობებსა და მისწრაფებაში. იგი სწერს;

—«ორთქმავალი შესცურდა შუაგულ ზღვაში, უცხოეთის სიომ მოჰბერა; ჩემმა გულმა უცნაურათ დაიწყო ძგერა! ასე მეგონა, თითქო აქნობამდე ადამიანი არ ვიყავ და ეხლა გადავიქეც კაცათ! ამას გარდა გრძნობამ სამშობლოს სიყვარულისამ, თავისი ძლევა მოსილებით შემიპყრო და დამიწყო უკან საქართველოსაკენ წევა. მიმალული გულის სიმები, უჩინარი სულის ძაფები, რომელნიც წინათ თავის არსებობას არ იჩენდენ, ახლა სრულიად დაეპატრონენ ჩემს მთელ არსებას. მიტოვება ნათესავების, ნაცნობ-მეგობრების, ქართული ცხოვრების და სიტყვიერების, ერთი სიტყვით, ყველა იმისა, რაც აერთებს და აკავშირებს ადამიანს თავის სამშობლოსთან—ადვილი არ არის!»...

ასეთია ეროვნული შეგნება და სიყვარული, რომელიც დღიდან დაარსებისა მარად თან ახლდა საქ. ს. დემოკრატიას, მის თეორიასა და პრაქტიკას!

მშრომელი მასის, დემოკრატიის შეკავშირება-გათვითცნობიერება ერში—არის საქმე ეროვნული განმტკიცების, განვითარების; ნ. ჟორდანია სწერს:

«ჩვენ მუდამ ერთი ადგილი გვეჭირვება. ჩვენი პროგრამა მოკლე და ნათელია. ქართული ენის, ლიტერატურის და, საზოგადოთ, კულტურის საშვალებით, ქართველი მშრომელი ხალხის თანდათან გაცნობიერება, გამძლავრება და, თანამედროვე ცხოვრების შეგნებულ რაზმათ გადაქცევა, ერთი მხრით; მისი თვით-მოქმედების და დამოუკიდებელი მოძრაობისათვის ხელის შეწყობა, მეორეს მხრით. აი ჩვენი იდეალი, აი ჩვენი პროგრამა და, ჩვენ გვგონია, ერის დიდი უმრავლესობის ამ გზაზე გამოსვლა და ისტორიულ მსვლელობაში აქტიური მონაწილეობის მიღება, ერთათ ერთი ნამდვილი, საერო და ამავე დროს თანამედროვე მიმდინარეობაა!», («რჩეული ნაწერები» გვ. 40-61). და იქვე განაგრძობს: «რაკი ყოველი ერი იძულებულია ეროვნული ცხოვრებით იცხოვროს, აშკარაა, რაც უფრო შეგნებულათ მოაწყობს ამ ცხოვრებას, მით უფრო ჩქარა შეასრულებს თავის მოწოდებას და საკაცობრიო სარბიელზე შესაფერ ალაგს დაიჭერს!».

თუ როგორია ისტორიული მიმდინარეობის დასკვნები ეროვნულ საკითხში, ამის შესახებ 1894 წ.,

ორმოცი წლის თავზე

ამ ორმოცი წლის წინეთ ჩვენში საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა ახალგაზდა მარქსისტების ჯგუფი, რომელსაც შემდეგში «მესამე დასი» ეწოდა. ამ მესამე დასელებს იმ დროს ბევრი არავინ იცნობდა და მათ დიდი გავლენა და ავტორიტეტი ხალხში არ ქონდათ. მეორეს მხრივ კი იხწოდენ ჩვენს საზოგადოებაში ისეთი ცნობილი და გავლენიანი პირები და მოღვაწეები, როგორც ილია ჭავჭავაძე. ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი და სხვები. ამ ძველ მოღვაწეებს იმ დროს დიდი სახელი და ავტორიტეტი ქონდათ მოხვეჭილი და მათთან ბრძოლა ადვილი საქმე არ იყო. ილია ჭავჭავაძე მთელი ქართული აზროვნების უგვირგვინო მეფეთ ითვლებოდა. მისი ავტორიტეტით, მისი პიროვნების სიძლიერით ყველა მოჯადოებული იყო. მის წინააღმდეგ გამოსვლას, მასთან დატაკებას ვერავინ ბედავდა და ყველა მას მისდევდა და ემორჩილებოდა.

ასეთ პირობებში მესამე დასელები ახალი აზროვნების და მიმართულების მოციქულებათ გამოვიდენ და ახალი დროშა ააფრიალეს. მხოლოდ 6-7 წელი დარჩა საჭირო, რომ ბრძოლა ახალ და ძველ თაობას შორის ამ უკანასკნელის სრული დამარცხებით დამთავრებულიყო. მესამე დასელების პატარა ჯგუფმა სულ რამოდენიმე წლის განმავლობაში გაარღვია მოჯადოებული წრე და თავის აზროვნებას და მოქმედებას ფართე ასპარეზი შეუქნა. მეოცე საუკუნის დამდეგს სოციალდემოკრატია უკვე ცნობილია, როგორც ჩვენი ცხოვრების მთავარი პოლიტიკური ფაქტორი. შემდეგ ის სწრაფი ნაბიჯით იკაფავს გზას ქართველ მუშათა და გლეხთა შორის და მათი მესაიდუმლე ხდება. ეს საყოველთაოთ დამტკიცდა და ყველამ ნათლათ დაინახა, განსაკუთრებით. 1905 წელში, როცა რევოლიუციის დროს საქართველოს მთელი გლეხობა, მუშათა კლასი და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია სოციალდემოკრატიის დროშის ქვეშ დადგა და მისი ხელმძღვანელობა იცნო.

შემდეგ, როცა 1905 წლის რევოლიუცია დამარცხდა და მთელ რუსეთის იმპერიაში სასტიკი რეაქცია გამეფდა, სოციალდემოკრატიას ამ რეაქციის დროსაც არ დაუკარგავს გავლენა ქართველ ხალხში. ეს ცხადჰყო ოთხივე სახელმწიფო დუმის არჩევნებმა, როცა ამრჩევლების დიდი უმრავლესობა სოციალდემოკრატებს აძლევდა ხმას და მათ დუმაში თავის წარმომადგენლებათ გზავნიდა.

1917 წლის დიდ რევოლიუციაში საქართველოს სოციალდემოკრატია ფართე ლეგალურ ასპარეზზე გამოდის და ის მთელი რევოლიუციის მეთაური და ხელმძღვანელი ხდება. ამ დროს სოციალდემოკრატიის გავლენა დიდი და ძლიერია არა მხოლოთ საქართველოში, არამედ საქართველოდან მისი გავლენა ფართოვდებოდა და ვრცელდებოდა ჩვენ მეზობელ ქვეყნებშიდაც და მალე აზერბეიჯანში და სომხეთში თვალსაჩინო გახდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის ხანა ხომ სოციალდემოკრატიის უდიდესი ზრდის და განვითარების ხანაა. ამ დროს ქართველი ერის დიდი უმრავლესობა მას უცხადებს სრულ ნდობას და მას მიყვება. პარტიას 80.000 წევრი ყავს. 130 დეპუტატზე პარლამენტში 102 სოციალდემოკრატია. დამფუძნებელი კრების არჩევნებში ამრჩევლების 82 პროც. სოციალდემოკრატიას აძლევს ხმას. ეს პირველი მაგალითი იყო და არის დღემდე, რომ სოციალისტურ პარტიას მთელი ერის ასეთი ნდობა მოეპოებიოს და ის თავის გავლენის ქვეშ დაეყენებიოს.

მაგრამ ეს არის მხოლოთ უბრალო ფაქტიური აღნიშვნა ჩვენი პარტიის ზრდისა და განვითარებისა. აღნიშვნა იმისა, თუ რა ვიყავით წინეთ, დასაწყისში და რა შევიქენით და გავხდით შემდეგში.

ეხლა მთავარია ვიცოდეთ: 1) რით აიხსნება ის, რომ 1893 წელს მოვლინებულ მცირე რიცხოვან და საზოგადო ასპარეზზე ახლად გამოსულ მარქსისტების ჯგუფმა, მესამე დასელებმა, შესძლო შედარებით მოკლე დროს განმავლობაში მაშინდელ საზოგადო მოღვაწე ბუმბერაზთა ასე ადვილათ დაძლევა და დამარცხება? 2) რით აიხსნება ის, რომ შემდეგში საქართველოს სოციალდემოკრატია ასე სწრაფათ იზრდებოდა და ვითარდებოდა და შეიქნა მთელი ჩვენი ცხოვრების დედა-ბოძი, თან გაიყოლია ერის დიდი უმრავლესობა და მით გახდა ნამდვილი ეროვნული პარტია?

პირველ კითხვაზე პასუხს გვაძლევს მესამე დასელების მიერ ჩვენი ცხოვრების მაშინდელ მდგომარეობის და ურთიერთობის გაგება და შეფასება და ცხოვრების წიაღიდან წამოჭრილ საჭირბოროტო კითხვებზე სწორი პასუხის გაცემა.

როგორი იყო ჩვენი მაშინდელ ცხოვრების შეფასება მესამე დასელების მიერ და რა იყო მათი პასუხი?

მესამე დასელების, ამ პიონერების ერთმა წევრმა—ნ. ჟორდანიამ 1893 წელს დასწერა საპროგრამო წერილი «ეკონომიური წარმატება და ეროვნება», რომელიც გაზიარებულ იქნა მთელი ჯგუფის მიერ. ჩვენ აზრათ არ გვაქვს ამ წერილის მთლიანათ განხილვა, საგაზეთო წერილში ეს შეუძლებელიც არის; ჩვენ გვინდა მხოლოთ მის ზოგ იმ მთავარ დებულებებს შევეხოთ, რომელთ მოგონება საჭიროა ჩვენ მიერ ზემოთ დასმულ კითხვის გასარკვევათ.

ნ. ჟორდანია ამტკიცებდა, რომ შემდეგ ბატონყმობის მოსპობისა ჩვენში თანდათან ფეხს იდგამდა მრეწველობა და ვაჭრობა, გაძლიერდა მიმოსვლა და აღებმიცემობა. ძველი პატრიარქალური წარმოება ირღვევოდა და მის ალაგას ჩნდებოდა კაპიტალისტური. ვაჭრობა შეიქნა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის რევოლიუციურ ძალათ. თუ წინეთ საქართველო დაყოფილი იყო სხვადასხვა კუთხეებათ, რომელთა შორის არ არსებობდა მჭიდრო კავშირი და დამოკიდებულება, ვაჭრობა-მრეწველობის ჩვენში გაჩენით ეს პარტიკულიარიზმი ისპობა და საქართველოს სხვადასხვა ნაწილები ერთმანეთს უკავშირდება. საქართველო ნივთიერათ, ეკონომიურათ ერთიანდება. ამ მის ეკონომიურ გაერთიანებას კი უთუოთ თან სდევს მისი პოლიტიკური გაერთიანებაც. მისი ნამდვილ ერათ გადაქცევა. ქართველი ერის პოლიტიკური განვითარება ამავე დროს მისი ეკონომიური განვითარებაა, პირველი მეორეს ემყარებაო.

ნ. ჟორდანია აღნიშნავდა აგრეთვე იმ ღრმა სოციალურ გადაჯგუფებას, იმ დიფერენციაციას, რომელიც ხდებოდა ჩვენი ერის ეკონომიურ განვითარების პროცესში. ის ნათლათ ხედავდა, რომ ბატონყმობის გაუქმება ჩვენში მოხდა მემამულეთა ინტერესების სრული უზრუნველყოფით და გლეხკაცობის ეკონომიური მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებით. რაც კარგი მიწა იყო, ის გლეხს ჩამოართვეს და სრულ საკუთრებათ ბატონს მისცეს; ის ცუდი მიწაც კი, რაც მას დაუტოვეს, გამოსყიდვამდე მემამულეთა საკუთრება რჩებოდა. მეორე მხრივ მრეწველობაში ჩაბმულ და ქარხნებში მომუშავე მუშების მდგომარეობაც მეტათ ცუდი და აუტანელი იყო. დაბალი ხელფასი, გრძელი სამუშაო დღე, ცუდი მოპყრობა და სხვა, რაც საერთოთ იწვევდა მუშათა სტიქიურ გაფიცვებს და პროტესტებს.

ნ. ჟორდანიას აზრით ქართველი ერი სოციალურათ დაყოფილია ორ ბანაკათ, ორ დიდ წოდებათ; ერთ მხარეს არის შრომის წარმომადგენელნი—მუშა და გლეხი, მეორე მხარეს კი ქონების პატრონნი—მემამულე და კაპიტალისტი. თუ ეკონომიური წარმატების მიხედვით «საქართველო ეროვნულათ არის ერთი და განუყოფელი», სიმდიდრე-სიღარიბის მიხედვით საქართველო ორათ არის დაყოფილიო. ქართველი ერის ღარიბი ნაწილი—მუშა და გლეხი კი შეადგენს მის დიდ უმრავლესობას და ამ «ნაწილის დაკავშირება და თვითცნობიერების შექმნა პოლიტიკო-ეკონომიურ ნიადაგზე» წარმოადგენს ჩვენი მოღვაწეობის ამოცანას—ასეთია ჩვენი დროშაო.

აი როგორ აფასებდა ნ. ჟორდანია ჩვენი ქვეყნის იმ დროინდელ მდგომარეობას და აი რა პასუხს იძლეოდა ის ამ მდგომარეობის რადიკალურ გარდასაქმნელათ.

მესამე დასელების ძალა იმაში იყო, რომ მათ მაშინდელი მდგომარეობა და მომენტი სწორად გაიგეს და შეაფასეს. ძველმა თაობამ ეს ვერ გაიგო და ვერ შეეგუა ასეთ გაგებას. ძველი თაობა ერთ ადგილზე იყო გაჩერებული და უფრო უკან იხედებოდა. ახალი თაობი კი ნ. ჟორდანიას მეთაურობით აწმყოს სწორად შეგნებით შესაფერ სამოქმედო დასკვნებს აკეთებდა, წინ იხედებოდა და საბრძოლველათ ირაზმებოდა. თვით ჩვენი ქვეყნის ცხოვრება ახალი თაობის პროგნოზს და შეხედულებას ყოველდღიურათ ამართლებდა. ამით აიხსნება უმთავრესათ ის, რომ

თავის პირველ საპროგრამო წერილში,—(«ეკონომიური განვითარება და ეროვნება»)—ნ. ჟორდანია სწერდა: «თავისუფლება ერისა, განვითარდება თანახმათ მისი განსაკუთრებული პირობებისა».

ხოლო 1895 წელს, ამავე საკითხზე, განაგრძობს: «ეკონომიურ განვითარებას თან მოსდევს ერის ერთობა იმ კითხვებზე, რომლნიც ეხებიან მთელი ერის პოლიტიკურ ეკონომიურ ცხოვრებას (მხარე ეროვნული) და ერის დაყოფა იმ კითხვებზე, რომელნიც ეხებიან მისი შემადგენელი ნაწილების პოლიტიკურ ეკონომიურ ცხოვრებას (მხარე პოლიტიკურ-სოციალური),—ერი ერთდება, იმავე დროს იყოფა. სხვადასხვაობა ერთობაში, ერთობა სხვადასხვაობაში, თანხმობა განხეთქილებაში, განხეთქილება თანხმობაში».

და ასე, თუმცა ერის შინაურ ცხოვრებაში, დაუღალავი ბრძოლა არსებობს, მუდმივი, მიუხედავათ ამისა, ყველანი ერთათ დგებიან, როცა მათ ეროვნულ თვითარსებობას რაიმე განსაცდელი მოელის ამ შემთხვევაში—განაგრძობს ნ. ჟორდანია—იღვიძებს დროებით მიძინებული ერთსულობა და ერთი მეორეს დაუცხრომელნი მტერნი საომარ ველზე ხელი-ხელ გაყრილნი გამოდიან, ეს არის ეროვნების არსებითი თვისება, ნაყოფი საერთო პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრების, განმტკიცებული თანამედროვე წყობილებით და შეგნებული ადამიანების ცხოვრებით! (რჩეული ნაწერები» გვ. 11).

—«ეროვნული და სოციალური კითხვა—აი ის ორი ფეხი, რომელზედაც ცხოვრება შედგა და საშინელი სისწრაფით წინ მიექანება. ეს ჩვენი არსების დედა-ძარღვია—ეს ჩვენი წარმატების საფუძველია, ასეთია სინამდვილე. ჩვენი თანამედროვე ცხოვრების სარჩული ეკონომიური წარმატებაა, რამაც დაბადა ეროვნული გაერთიანება და სოციალური დანაწილება. საქართველო ერთი, განუყოფელი, საქართველო ორი, სიმდიდრე-სიღარიბის მიხედვით დაყოფილი, თუ პირველ კითხვაზე ვერთდებით. მეორეზე ვიყოფით, თუ შინაურ ცხოვრებაში ვიბრძვით, გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთათ ვდგევართ. ეს არის არსებითი თვისება უმაღლესი განვითარების». (ნ. ჟორდანიას ნაწერები—ტ. I. გვ. 74).

მაგრამ ჩვენი პარტიის ეროვნული საკითხისათვის ბრძოლები არ განისაზღვრება მხოლოდ შინა-პუბლიცისტური მუშაობით ამხ. ნ. ჟორდანიასი, არამედ ამას თან ერთვის გარეშე ბრძოლებიც დიდი რუსეთის ფარგლებში. რუსეთის სოციალდემოკრატიულ პროგრამაში (სადაც მაშინ ქართ. სოც. დემ. მუშაობა უხდებოდა), ნაციონალური საკითხის შეტანა და განმარტებანი იყო შედეგი ჩვენი ქართველი ამხანაგების გამუდმებული ბრძოლების—სიტყვით, საქმით! დამახასიათებელია,—რუსეთის განაპირა ერებისათვის—ადგილობრივ თვირმართველობის, ენის, სკოლის, სასამართლოს და ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების უფლებათა მინიჭების შესახებაც კი მაშინ იქ აზრთა სხვადასხვაობა სუფევდა. რუსეთის ს. დ. პარტიის 1903 წლის მე 2 ყრილობის ოქმებში ვკითხულობთ შემდეგს:—დგას საკითხი განაპირა ქვეყნებისათვის ადგილობრივ ფართო საოლქო თვითმართველობის შესახებ:

ჟორდანია. მხარს უჭერს წინადადებას და განმარტავს, რომ პარტიულ პროგრამაში მისს მოთავსებას ექნება ფართე აგიტაციური მნიშვნელობა და შემოკრებს პარტიაში ახალ ძალებს. ზოგ ადგილებში, და მათ შორის კავკასიაში, საოლქო თვითმმართველობის იდეა ძალიან პოპულიარულია.

კარსკი (თოფურიძე)—სცნობს, რომ ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების მიხედვით, ზოგი ადგილები დიდ განსხვავებას იჩენენ და შეუძლიათ განვითარება მხოლოდ ავტონომიის მინიჭებით.

ენა სკოლებში და სასამართლოებში.

კარსკი-თოფურიძე არ ეთანხმება მარტოვ მარტინოვის არგუმენტაციას და განმარტავს, რომ სამშობლო ენაზე ლაპარაკის უფლება ძალიან საჭირო და სწორეთ დიდი უფლება არის და არა წვრილმანი. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა სასამართლოებში და სხვა ადგილობრივ დაწესებულებებში.

კასტროვი-ჟორდანია წინადადებას იძლევა ენის თანასწორობა ყველა შკოლებში, კრებებზე და დაწესებულებებში.

კარსკი-თოფურიძე, ჩემის აზრით, ამ ფორმულაში უნდა მოთავსდეს რაღაც უფრო დიდი. ადგილობრივ მცხოვრებლებიდან სახელმწიფო ჰკრებს გადასახადებს, მაშასადამე, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი—აძლევდენ უნდა მცხოვრებლებს დახმარებას, ეროვნულ შკოლების დაარსებისათვის. ამასთანავე აღნიშნავ უნდა იყოს გარკვევით ნაჩვენები, რომ სასამართლოებში საქმის წარმოება უნდა იყოს სამშობლო ენაზე.

კასტროვი ჟორდანია უერთდება ამ წინადადებას.

პარტიული ორგანიზ. შესახებ.

კასტროვი-ჟორდანია ვრცლათ ეხება პარტიულ საოლქო ორგანიზაციების დაარსების საკითხს განაპირა ქვეყნებისათვის და დასძენს: როგორც რუს ს. დ., ისე ჩვენ, ქართველ და სომეხ სოც. დემოკრატებსაც უნდა გვქონდეს თავიანთი ცენტრალური პარტიული ორგანოები. ასეთი უკვე გვაქვს და იმყოფება «კავშირის» ხელში, არ ცნობა ამ «კავშირის» უსათუოთ მიგვიყვანს ჩვენი ძალებისა და მოძრაობის დეზორგანიზაცია-დასუსტებამდე.

კასტროვი-ჟორდანია. ცხადათ სჩანს ამხ. ეგოროვი არ იცნობს არც ჩვენს მხარეს, არც ჩვენს პარტიულ კომიტეტებს. ჩვენ გვიკავია სრულიად განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც დიდათ განსხვავდება რუსეთისაგან თავის განსაკუთრებული ყოფა-ცხოვრებით და მოითხოვს განსაკუთრებულ მოქმედებას.

ესეთი იყო ჩვენი პარტიის და ქართველი ამხანაგების გამუდმებული ბრძოლა ეროვნული საქმისათვის დესპოტიურ ხანაში, 30 წლის წინათ, და შემდეგ. ხოლო აღვნიშნავთ—პოლიტიკური ფორმა ეროვნული საკითხის გადაჭრისა, როგორც ამას ამხ. ჟორდანია ამბობს თავის «ბრძოლის საკითხებში» —ფორმა ცენტრალიზმი თუ სეპარატიზმი არას დროს არ ყოფილა ს. დ. პარტიაში პრინციპის საკითხათ, ერთხელ და სამუდამოთ გადაჭრილი და გარკვეული! ეს იყო საგანი პოლიტიკის, ხოლო პოლიტიკა კი დროსა და გარემოებას უკავშირდება. პრინციპიალური დებულება ს. დემოკრატიის არის ერთი—ერის თვითგამორკვევის უფლება, ხოლო ეს კი აუცილებლათ მოითხოვს თავისუფალ წყობილებას, თავისუფლება სიტყვის, კრების, ბეჭდვის და სხ., ცხადია, ეროვნული ურთიერთობის გადაწყვეტა მოითხოვს დემოკრატიის ბატონობას, და იქ, სადაც ეს პირობა დაცული არ არის, ერის თვითგამორკვევა შეუძლებელი ხდება. რუსეთის თვითმპყრობელობის ხანაში, ისე, როგორც დღეს, კომუნისტურში, ცხადია, არც ერთს ერს არ შეეძლო და არც შეუძლია ამ საგანზე ფიქრიც კი! ამიტომ იყო საჭიროება უპირველესათ თვითმპყრობელობის დანგრევის, რომლის შედეგათ, ერის თავისუფალ თვითგამორკვევის მიხედვით ჩვენ მივიღებდით ერთ რომელიმე ეროვნულ-პოლიტიკურ ფორმას, სეპარატიულს, ცენტრალისტურს, ფედერატიულს, ანუ კონფედერატიულს».

ასე ესმოდა ეს საკითხი თავიდანვე საქ. ს. დ—ას, —და, მისმა, ასე გონივრულ ათ წარმოებულმა პოლიტიკამ—მიიყვანა ქართველი ერი სრულ გამარჯვებამდის—ეროვნულ დამოუკიდებლობის მოპოვებამდის. საქ. ს. დემოკრატიის პოლიტიკა და ღვაწლი ეროვნულ საკითხში მოიწონა ქართველმა ხალხმა—უდიდესი ნდობით აღჭურვა იგი, დამოუკიდებლობის მართვა-გამგეობა ს. დემოკრატიას მიანდო!

უხეშმა ძალამ საქართველო დაიპყრო, მაგრამ ს. დემოკრატიისადმი ნდობა ქართველი ხალხის არ შეწყვეტილა. ისევ იმედით შეჰყურებს მას და, მისი ხელმძღვანელობით გამარჯვებას უახლოვდება! დამოუკიდებელი საქართველო იშვა ს.-დემოკრატიის ბრძოლებში 40 წლის მანძილზე. დაპყრობილი საქართველო აღსდგება ს. დემ—ის ხელმძღვანელობით.

გაუმარჯოს საქართველოს სოც. დემოკრატიას, გაუმარჯოს მის დამაარსებელს, ჭაღარა ბელადს ნ. ჟორდანიას!

ბ. ჯულა-ჯელაშანია.

ნინოშვილის საფლავზე

«როგორიც არ უნდა იყოს ნინოშვილის ღვაწლი სამწერლო ასპარეზზე, ეს ღვაწლი იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც მისი ორგანიზატორული მოქმედება. რამდენადაც დრო მიდის, იმდენად უფრო და უფრო ვრწმუნდებით, რომ ეს ადამიანი შემკული ყოფილა დიდი ბუნებრივი ნიჭითა და ზნეობის ძლიერებით»-ო. სწერდა «კვალში» სილიბისტრო ჯიბლაძე 1895 წელს.

ნორჩ მიმდინარეობის ერთ თვალსაჩინო წინამძღოლთაგანს ადვილად გასაგები სურვილი ამოძრავებდა: უწინარეს ყოვლისა უშუალო, საქმიან კავშირის აღდგენა დიდ პიროვნებასა და ცოცხალ, იმედიან, მომავლით სავსე ცხოვრების შინაარსს შუა. ამას ითხოვდენ: იდეა, ნება-მიზანი.

«მესამე დასის»—შემდეგ მთელი საქართველოს სოციალდემოკრატიის საუკეთესო პრაქტიკოსს და ორგანიზატორს ეს დაკავშირება რევოლიუციურ შეგნებისა უშუალო მოქმედებასთან ახალ მოძრაობის გასაძლიერებლად უმნიშვნელოვანეს მომენტად მიაჩნდა.

და ამ მხრივ ის მართალი იყო.—ეს დამახასიათებელია ყოველ დიდ სახალხო მოძრაობის დასაწყისისათვის: იდეა, თეორია, პრაქტიკა, ორგანიზაცია—ფხიზელი გონება და მტკიცე მოქმედება—ნება გადამჭრელ როლს თამაშობენ და გამარჯვებას ნიადაგს უმზადებენ.

რა საკვირველია, დიდია ნინოშვილის ორგანიზატორული ნიჭი და მუშაობა, მაგრამ... სწორეთ რევოლიუციურ იდეის და შეგნების ბრძოლის ექსტაზი, თბილი გრძნობა მხატვრულ მელოდიათ ქცეული, ცოცხალ სურათებათ ჩამოსხმული განცდანი,—ერთი სიტყვით მთელ ამ ეთიკურ შინაარსისათვის ესთეთიკურ ფორმის მოძებნა იყო ის, რაც აწვალებდა ნინოშვილს, რაც შეადგენდა მის ბუნების უმთავრეს შინაარსს.

და მართლა «რამდენადაც დრო მიდის, იმდენად უფრო და უფრო ვრწმუნდებით», რომ «პალიასტომის ტბის» დამწერის «დიდი ბუნებრივი ნიჭი და ზნეობის ძლიერება» უფრო მის მხატვრულ შემოქმედებაში გაიშალა.

თუ ნოე ჟორდანია ახალ მიმდინარეობის თეორეტიკოსი, სილიბისტრო ჯიბლაძე—პრაქტიკოსი, ნინოშვილი მისი საუკეთესო მხატვარ-დამსურათებელი შეიქნა.

პირველმა შემოიტანა მოძრაობაში მეცნიერული საბუთი. მეორემ—ორგანიზაცია, მესამემ—ხელოვნება.

გონება, ნება, გრძნობა ერთ იდეაში გაიშალენ:—ახალი მიმდინარეობა მტკიცე ნიადაგზე დაეყრდნო...

და როდესაც იმავ წერილში, ცოტა უფრო დაბლა, სილიბისტრო ჯიბლაძე ამბობს: «ის (ნინოშვილი) ხედავს რაიმე გულშემზარავ საზოგადოებრივ მოვლენას,—მაგ. მოსე მწერლის უნამუსო გაიძვერობას, მის ზნეობრივ გახრწნილებას, ძალაუნებურად ხელში კალამს იღებს, უბრალო ფელეტონის დაწერა უნდა, მაგრამ მის უნებურად მოთხრობა გამოდის»-ო —ამით დაუვიწყარი სილია თვით აღიარებს ნინოშვილში მხატვრის პრიორიტეტს.

ნინოშვილის საფლავზე, რომელსაც დიდძალი ხალხი, მწერლობა და «მესამე დასი»-ს წარმომადგენლები გარშემორტყმოდენ (აქ იყვნენ: გიორგი წერეთელი, კარლო ჩხეიძე, ლადო დარჩიაშვილი, რომელმაც ახალ მიმართულების სახელით აგრეთვე სიტყვა წარმოსთქვა და სხვ.), ჯიბლაძემ ა. ყაზბეგი გაიხსენა: «ინგოროყვას კუბოს წინაშე ყაზბეგზე ლაპარაკი უადგილოდ არ უნდა ჩაითვალოს, რადგან ამ ჩვენ ორ მამულიშვილთა შორის თვალსაჩინო მსგავსებაა..

ყაზბეგმა საოცარი ხელოვნებით დაგვიხატა, თუ რა შედეგი აქვს დიდის. ძლიერი ერის მიერ პატარა ერის პოლიტიკურად დამორჩილებას, როგორ იდრიკება და ირყევა უკანასკნელის ზნე ჩვეულება, ყოფა-ცხოვრება, როგორ იცვლება მისი დამოუკიდებელი მაჯის ცემა. ეს იდეა დედა-აზრია..., რომელიც უკვდავად ჰქმნის «ელგუჯას» ავტორს. ნინოშვილი კი «იმ ღრმა ისტორიულ ჭეშმარიტებათ [illegible]ნელობდა»..., რომ შემოკლდა სივ[illegible] მტკიცე ურთიერთი კავშირი და ზედგავლენა სხვა და სხვა ერთა შორის»-ო.

ეროვნებათა პოლიტიკურსა და ეკონომიურ თავისუფლებაზე, მათ შორის ძმურ დამოკიდებულებაზე ლაპარაკობდა ორატორი (ამ იდეას შეეწირა ის 30 წლის დაუღალავ მუშაობის შემდეგ).

და როდესაც ის ამას ამბობდა, მაშინ მაისის 7-ს 1894 წლისას, «ძველებურად ერთი მთელი ხის ტანისაგან გამოკოდილ კუბოს წინაშე» და მისი სიტყვები ხალხის, მეგობრების მწუხარებას და ჭირისუფლების ტირილს უერთდებოდენ,—საქართველოს საზოგადოებრივობის ისტორიის ფურცლებზე იწერებოდა ახალი ამბავი ახალ «კვალზე».

ძველები, რომელთაც ეს ახალი ამბავი ესმოდათ, ესალმებოდენ მას...

გიორგი წერეთელი იმავე დღეს, იმავე საფლავის წინაშე ამბობდა: «ნინოშვილმა ცხადად გვაჩვენა, რომ თუ გვინდა ჩვენი ერი შევაკავოთ გადაგვარებისაგან, ავამაღლოთ ის ზნეობრივად და გონებრივად,—უნდა ავაშოროთ მას მოსე მწერლებისთანა და ტარიელ მკლავაძისთანა ავი თვისების ადამიანები. ამ სახით მან გაუკაფა ჭეშმარიტი გზა მესამე დასს ახალგაზდობისას ხალხში მოქმედებისათვის»-ო.

და ისინიც კი, ვინც «მესამე დასს» უარყოფით უყურებდენ, ამ დღეს თავს იხრიდენ «მოსე მწერლისა» და «ქრისტინეს» ავტორის წინაშე:—ნინოშვილის კუბოს ამშვენებდენ, მრავალ სხვათა შორის, «ივერიის» რედაქციისა და ილიასაგან გამოგზავნილი გვირგვინები...

ამ დროს «მოამბის» რედაქციაში ინახებოდა და უცდიდა გამოქვეყნებას 1893 წელს მესამე დასელების წრეში წაკითხული, იმავე წელს შვეიცარიიდან გამოგზავნილი, პირველად ქართულ ენაზე ისტორიულ მატერიალიზმის თვალსაზრისით დაწერილი შრომა ახალგაზდა ნოე ჟორდანიასი «ეკონომიური წარმატება და ეროვნობა» (პირველად არა მესამე დასელებთაგან გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილის მიერ მოწონებული), რომელშიდაც ის სწერდა «ერის, პიროვნების და შრომის თავისუფლებაზე»—სოციალიზმისათვის მუშაობაზე.

«სადაც ეროვნული შეგნება არ არის, იქ არც ეროვნება არსებობს»-ო—სწერდა ჟორდანია.

იდეათა ამ კომპლექსის, ცხოვრების სინამდვილის მხატვარ-დამსურათებელი შეიქნა ნინოშვილი: შრომის და ადამიანის თავისუფლება არის უმთავრესი მოტივი მისი შემოქმედებისა, ქართველი მუშის ბედი, მოძმის ხვედრი, პირადათ განცდილი, არის საგანი ტანჯულ მწერლის გრძნობათა-ღელვისა. ის ხედავს, გრძნობს და აფორმებს თავისუფალ, ფაქიზ შეხებით, რომელიც ნათელ ჰყოფს მხატვარის ეთიკურსა და ესთეტიკურ ღირებულებას.

დაბადებიდან ექვსი თვის შემდეგ დედის ალერსს მოკლებული, ტანჯვაში აღზრდილი ნინოშვილი მხოლოდ 30 წელიწად მოახლოებული გამოდის სამწერლო ასპარეზზე, რადგან მანამდე მას «დრო არა აქვს» მიჰყვეს თავის მდიდარ ბუნების მოთხოვნილებას.

8 წლიდან მოჯამაგირეს, 10 წლიდან მწყემსს, 15 წლიდან მოსწავლეს, 19 წლიდან სოფლის მასწავლებელს, შემდეგ ფაბრიკის მუშას,—მას საშუალება არა აქვს კალამს ხელი მოჰკიდოს და ქაღალდს თავისი გულის ნადები, თავისი მხატვრული განცდანი გაუზიაროს.

ვერც უცხოეთი ჰშველის მწერალს:—მეგობრების რჩევითა და დახმარებით ის, ღირსეული, მიემგზავრება 1886 წ. საფრანგეთში.

ტანჯულს აქაც ტანჯვა იგდებს ხელში: უსახსრობა მალე აიძულებს მას სამშობლოს დაუბრუნდეს და კიდევ უფრო დასუსტებულ ორგანიზმის ენერგია ფიზიკურ მუშაობაში ხარჯოს...

«ათი დღე ვიმუშავე ნავთსადგურში ვიღაც სატუროვთან. ქესტებს ვზიდავდი, ვაწყობდი ყუთებში, ვბეჭდავდი და ვაწყობდი დანიშნულ ადგილს. მეტად მძიმე სამუშავარი იყო ჩემთვის. დღეში მაძლევდენ ათ შაურს. ორი დღე ვიმუშავე ბურჰარგის ზავოდში.

ძველი თაობის საყოველთაოთ ცნობილი და დიდი ავტორიტეტის მქონე წარმომადგენელნი სძლია და დაამარცხა ახალი თაობის წარმომადგენელმა ნოე ჟორდანიამ.

უპასუხოთ ეხლა ჩვენ მიერ დასმულ მეორე კითხვას.

ჩვენ ზემოთ ვამბობდით, რომ 1893 წელს საზოგადო ასპარეზზე ახლათ გამოსულმა მესამე დასელების მცირე ჯგუფმა სწორად გაიგო და შეაფასა ჩვენი ქვეყნის მაშინდელი მდგომარეობა და ურთიერთობა და შესაფერი პასუხი გასცა ბევრ საჭირბოროტო კითხვებს.

მაგრამ რით აიხსნება ის, რომ შემდეგში საქარ. სოც. დემოკრატია ასე სწრაფათ იზრდებოდა და ვითარდებოდა, მან, რაღაც 25 წლის განმავლობაში, თავის დროშის ქვეშ ქართველი ერის უმრავლესობა შემოიკრიბა, გახდა ნამდვილი ეროვნული პარტია და შეუდგა იმ პრინციპების პრაქტიკულათ ცხოვრებაში გატარებია, რომელსაც სოც. დემოკრატიის საუკეთესო წარმომადგენლები წინეთ იცავდენ მწერლობაში?

საქართველოს სოც. დემოკრატია დღიდან მისი საფუძვლის ჩაყრისა, მუდამ ხელმძღვანელობდა სამი მთავარი პრინციპით: 1) მარქსისტულ, ისტორიულ მატერიალიზმის მეთოდით სარგებლობა, 2) განსაზღვრულ პერიოდებში ერის ფართე მასების ინტერესების სწორად გაგება-შეფასება და შესაფერი და დროული ლოზუნგების წამოსროლა და 3) ერის ღარიბ უმრავლესობის სოც. დემოკრატიულ დროშის ქვეშ ორგანიზაციულათ დარაზმვა დაყენება.

ნ. ჟორდანიას პირველი საპროგრამო წერილი «ეკონომიური წარმატება და ეროვნება» არის შესამჩნევი ნიმუში იმისა, თუ რა ძლიერი იარაღია ისტორიული მატერიალიზმის მეთოდი, როცა მით სწორად სარგებლობ. ამ მეთოდით ის მთელ მის 40 წლის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობის განმავლობაში მოქნილათ და მოხერხებულათ სარგებლობდა და ამ გზიდან არასოდეს არ გადაუხვევია. ამ მეთოდის წყალობით იყო, რომ ნოე ჟორდანია ყოველთვის გაურბოდა განყენებულ აბსტრაქტულ, ცხოვრებას დაშორებულ აზრებს და მსჯელობას და როგორც თავის ანალიზისათვის, ისე სინტეზისათვის, მასალებს ჩვენი ერის ეკონომიური ცხოვრების განვითარებიდან კრეფდა და მით სარგებლობდა.

ნ. ჟორდანია მუდამ ჩვენი ერის ღარიბ ნაწილის ინტერესებს იცავდა და ცდილობდა, რომ ამ ნაწილს თავისი ინტერესები სწორად შეეგნო და თავის დასაცავათ თვითონვე ხმა ამოეღო და საბრძოლველათ დარაზმულიყო. მაგრამ ჩაგრულთ რომ მათი ინტერესები შეეგნებიო, ამისათვის საჭიროა მათ სწორათ მიუდგე და შესაფერი ლოზუნგები დროზე გადაისროლო.

როცა ჩვენი პარტია საქართველოს მუშათა კლასს ბრძოლისაკენ მოუწოდებდა, ის ყოველთვის აერთებდა ბრძოლის სხვადასხვა ფორმებს და არც ერთ მათგანს არ ივიწყებდა და გაზზე არ დებდა. რუსეთის სოციალდემოკრატიის რიგებში იყვნენ. მაგალითად, ეგრეთ წოდებული «ეკონომისტები», რომელნიც ეკონომიურ ბრძოლას სთვლიდენ მუშათა კლასის მოქმედების მთავარ ასპარეზათ და ბრძოლის პოლიტიკურ მხარეს ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ. წინააღმდეგ, იყვნენ აგრეთვე იქ «პოლიტიკოსები», რომელნიც ეკონომიურ ბრძოლას პატარა საქმეთ სთვლიდენ. პოლიტიკური ბრძოლა კი, მათი აზრით, ყველაფერი იყო და ყველაფერს სწყვეტდა. ჩვენი პარტია კი, გამოდიოდა რა იმ შეხედულებიდან, რომ ეკონომიური ბრძოლა ამავე დროს არის პოლიტიკური ბრძოლაც და პოლიტიკური ბრძოლა ეკონომიური. თავიდანვე თავის ლოზუნგებში მუშათა მიმდინარე ეკონომიურ მოთხოვნილებას უკავშირებდა პოლიტიკურ მოთხოვნილებას, აყენებდა 8 საათის სამუშაო დღესან ერთათ თვითმპყრობელობის დამხობას, დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებას და ამ გზით ყველა მშრომელთ სოციალიზმის დროშის ქვეშ მოუწოდებდა.

ჩვენ პარტიას თავიდანვე განსაკუთრებული გეზი ქონდა აღებული აგრეთვე გლეხთა შორის მუშაობის საკითხშიდაც. ამ მხრივ ის დიდათ განირჩეოდა რუსეთის და ევროპის ზოგ სოციალდემოკრატიულ პარტიებიდან, რომელნიც გლეხთა შორის მუშაობას სოციალისტური პარტიის საქმეთ და პირდაპირ მოვალეობათ არ სთვლიდენ.

როგორც კი ჩვენში გლეხთა შორის მუშაობის ნიადაგი მომზადდა და ჩვენ პარტიას საკმაო მუშაკები გაუჩნდა, მან 1902-3 წლებში გლეხობაში ფართე მასიური მუშაობა და პარტიული ორგანიზაციების დაარსება დაიწყო. იმ დროს ნ. ჟორდანია ენერგიულათ იცავდა იმ აზრს, რომ სოციალდემოკრატიას გლეხთა მოძრაობისათვის ეხელმძღვანელა.

ზოგი ფიქრობს, ქართველ გლეხებთან პირველათ სხვა პარტია რომ მისულიყო და სოციალდემოკრატიისათვის მიესწრო, ამ უკანასკნელის გავლენა გლეხებზე აღარ იქნებოდა ისეთი ძლიერი და გლეხობაც სხვებს გაჰყვებოდაო. ეს მოსაზრება ძირიანათ შემცდარი და არა სერიოზულია. საქმე იმაში კი არ იყო, თუ ვინ უფრო ადრე მივიდოდა გლეხებთან, არამედ ვინ როგორ იცავდა და ვინ უფრო სწორად გამოხატავდა გლეხთა ინტერესებს.

ჩვენი გლეხობა იძულებული იყო ეხადა მიწის დიდი ღალა მემამულეებისათვის, «დრამა»-ფული მღვდლებისათვის და სხვადასხვა გადასახადები სახელმწიფოსათვის. თან ადმინისტრაციის თვითნებობას საზღვარი არ ქონდა. გლეხობა დასჯილი იყო ეკონომიურათ და პოლიტიკურადაც. გლეხებმა სოციალდემოკრატიის რჩევით და ხელმძღვანელობით უარი განაცხადეს ყოველგვარ გადასახადების გადახდაზე. 1905 წელში ისინი არც სამხედრო ბეგარას იხდიდენ. ბოიკოტი გამოუცხადეს აგრეთვე მთავრობის ყველა დაწესებულებებს, ჩამოსცილდენ ოფიციალურ სასამართლოებს და პოლიციას და მათ ალაგას თავისი საკუთარი ადგილობრივი მართველობა შემოიღეს. 1903-5 წლებში გლეხთა მოთხოვნილებები რევოლიუციური გაბედულობით მხოლოთ სოც. დემოკრატებმა წამოაყენეს და, რაა გასაკვირი, თუ ხალხიც მათ გაჰყვა.

1905 წლის რევოლიუცია დამარცხდა და მთელ რუსეთის იმპერიაში რეაქცია გამეფდა; საქართველოს სოციალდემოკრატიას იმ დროსაც არ დაუკარგავს გავლენა ქართველ ხალხში. რეაქციის ხანაში ის იძულებული შეიქნა რევოლიუციის ფართე ასპარეზიდან არალეგალურ, თუ ნახევრათ ლეგალურ მუშაობაზე გადასულიყო. ის თავგამოდებით იბრძოდა ლეგალურ ყოველდღიურ პრესის არსებობისათვის და მუშაობას აწარმოებდა ყოველგვარ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, სადაც ხმის ამოღება და მშრომელთა ინტერესების დაცვა შეიძლებოდა. ბრძოლის მთავარი ორგანო იმ დროს ყოველდღიური გაზეთი იყო. რომ სოციალდემოკრატიის გავლენა დიდი იყო რეაქციის დროსაც, ეს, როგორც ვთქვით, ნათლათ დაგვანახვა ოთხივე სახელმწიფო დუმის არჩევნებმა.

ჩვენ გვახსოვს, რომ რუსეთში რეაქციის დროს სოციალდემოკრატიის ორივე ფრთა, როგორც ბოლშევიკები, ისე მენშევიკები, დუმის არჩევნებს ბოიკოტს უცხადებდენ და დუმას, როგორც ბრძოლის ასპარეზს და ტრიბუნას გაურბოდენ. 1905 წლის აგვისტოში ამიერკავკასიის სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციათა კონფერენციაზე ნ. ჟორდანიას მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ და დეპუტატებიც აერჩიათ. 1906 წელს სტოკჰოლმის პარტიულმა ყრილობამ დაადასტურა ქართველ სოც. დემოკრატების გადაწყვეტილება, რასაც შედეგათ მოყვა პირველ დუმაში ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით სოციალდემოკრატიული ფრაქციის დაარსება. შემდეგ ამ გზას გაყვა მთელი რუსეთის სოციალდემოკრატია და ყველა სახელმწიფო სათათბიროებში იღებდა მონაწილეობას. ფაქტია აგრეთვე ისიც, რომ ყველა სახელმწიფო სათათბიროებში სოციალდემოკრატიულ ფრაქციების ხელმძღვანელნი ქართველი სოციალდემოკრატები იყვნენ, ეს უკანასკნელნი კი თავის მხრივ სახელმძღვანელო მთავარ დირექტივებს ჩვენი პარტიიდან იღებდენ.

ამნაირათ, პირდაპირ, თუ არა პირდაპირ ჩვენი პარტიის გავლენა მთელი რუსეთის დემოკრატიის რიგებში უდიდესი იყო და ამიტომაც მას რუსეთის რევოლიუციაში დიდი როლი მიუძღვის.

1917 წელს საქართველოში რევოლიუციის მეთაური თავიდანვე სოციალდემოკრატია გახდა. მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების დიდ უმრავლესობას სოციალდემოკრატები შეადგენდენ და ამ საბჭოებსაც პარტიის ლიდერი ნ. ჟორდანია თავმჯდომარეობდა. რევოლიუციამ საქართველოში სოციალდემოკრატიის ხელმძღვანელობით რადიკალურათ გადასჭრა მიწის საკითხი, რევოლიუციური დეკრეტებით, თუ კანონმდებლობითი გზით, გაატარა მუშათა ცხოვრების გასაუმჯობესებლათ მრავალი

1889-90 წ.წ. ვმუშაობდი როტშილდთან დღეში მანეთად. 1889 წელს ბათუმში ზამთარი მეტად ცუდი,—ქარიან-წვიმიანი იყო; მე გაცვეთილი საზაფხულო ტანთსაცმელი მქონდა. უნდა ავმდგარიყავ დილის ოთხ საათზე, გამევლო კარგა დიდი მანძილი ამ საშინელ დარში და მივსულიყავ ზავოდში. ხან კარი დაკეტილი დამხვდებოდა და უნდა მეცადნა გარეთ. 1890 წელს დავდექ ნ. ღოღობერიძის კანტორაში დ. ზესტაფონში. მეტად ბევრი საქმე იყო. მე მგონია ჩემი ჯანი და სიმთელე დავღუპე ბათუმში და ამ კანტორაში მუშაობით. ამ დროიდან შემეჩვია ავათმყოფობა და მას შემდეგ იშვიათად ვყოფილვარ კარგად»-ო—ამბობს მწერალი თავის ავტოგრაფიაში.

ამ გზის განვლით მოვიდა ნინოშვილი ქართულ ლიტერატურულ ოჯახში.

და როდესაც მან მხატვრულ კალამს ხელი მოჰკიდა და ქაღალდს თავისი გულისთქმა გაუზიარა, ყველამ გაიგო, ყველამ იგრძნო, რომ ამ ტემპერამენტით დაწერილ ცხოვრების უტყუარ სურათებში ღრმა მხატვრულ განცდებით დატვირთული სოციალური ცხოვრების კრიტიკოსი ლაპარაკობდა.

ენერგიულ ტენდენციით იკვლევდა გზას მწერლის ხელოვნება რეალ ცხოვრების შუაგულში და ჰქმნიდა ნაწარმოებთ, რომელთა ამონაშუქი გულის და ნიჭის წრფელობასა და ამხედრებაზე ლაპარაკობდენ.

და ეს ამხედრება არ იყო ქვენა გრძნობების გამომწვევი, გამღვიძებელი: მასში ჭეშმარიტი ადამიანობა და კაცთმოყვარეობა ბრწყინავდა.

თანამედროვე სინამდვილის დრამას ის ანტიკურ ტრაგედიათ არ ჰქმნიდა და მისგან წამოყენებულ მძიმე საკითხების გადასაჭრელად გონებას, უტყუარ გრძნობას და მტკიცე ნებას მოუხმობდა.

თავის ლიტერატურულ მოღვაწეობაში, რომელმაც ასეთი გამოხმაურება ჰპოვა, ნინოშვილი ისეთ საკითხებს და მოტივებს შეეხო, რომ მთელი ეპოქა დაიპყრო.

შეიქმნა სკოლა, რომელმაც განშტოვება ნახა:—დრამაში, მოთხრობა-რომანში, პოეზიაში.

ნინოშვილის შემოქმედება არსებითად საძირკვლად დაედო ჩვენში მუშურ ხელოვნებას,—სოციალურ შინაარსის მხატვრულ შემოქმედებას.

და არ არის მართალი ივ. გომართელი, როდესაც ის ამბობს: «თითქმის ყოველი მოთხრობა ნინოშვილისა პუბლიცისტური ხასიათისა არის და მისი ნიჭის ღირსება და მნიშვნელობაც ამაში მდგომარეობს»-ო.

«პალიასტომის ტბის» ავტორი, რომელიც 33 წლისა გარდაიცვალა და რომელმაც მხოლოდ 4 წელიწადი სწერა, უწინარეს ყოვლისა მაღალ-ნიჭიერი მხატვარია;—რეალობა, მისი შინაარსი, მისი ტენდენცია მან განიცადა, როგორც ხელოვანმა,—ეს განცდილი ცოცხალ სიმბოლოდ აქცია და დაუვიწყარ სურათებში თუ სახეებში ჩამოასხა.

იდეა და გრძნობა, ფორმა და შინაარსი, ცხოვრების ტიპი და მისი მხატვრული ჩამოსახვა იმდენად განუყრელნი არიან ნინოშვილის შემოქმედებაში, რომ აქ მხოლოდ ხელოვნებაზე შეიძლება ლაპარაკი,—ხელოვნებაზე, რომელმაც ზოგად განცდების მოხაზვით ყოველდღიურობა დასძლია და საყოველთაო ღირებულების მომენტები (ეთიკური) მხატვარის მიერ, მის განცდებს (ესთეტიკური) დაუმორჩილა.

და აქ ნინოშვილი თავის ეპოქაში ველარ თავსდება და ჩვენი მწერლების იმ ვიწრო წრეს უერთდება, რომელსაც უკვდავება უწერია...

როდესაც «ქრისტინეს» ავტორის სურათს ვუცქერ, მგონია ტანჯვა გაქვავებულა და სახისათვის მხოლოდ ერთი გამომეტყველების საშუალება მიუცია.

ამ სახემ ალბათ არ იცოდა რა არის გულიანი, მხიარული სიცილი.

მშვენივრად აქვს გადმოცემული ეს სახე თავის ქანდაკებაში იაკობ ნიკოლაძეს. უკუღმართ ცხოვრებას ამ დიდი ქართველისათვის ტანჯვის მეტი—პირადად თუ საზოგადოებრივად—არაფერი ურგუნებია და მანაც ეს განცდა მოძმეთათვის ქაღალდს გადასცა.

მწერალმა მოუწოდა ყველას, ვისთვისაც სინამდვილე მხოლოდ ტანჯვაში გამოიხატება,—პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ ტანჯვაში,—ბრძოლისაკენ:—თავისუფლებისათვის, ბედნიერებისათვის, ადამიანობისათვის...

და როდესაც ის, მაღალ ზნეობრივი, სამუდამოდ დადუმდა, მის საფლავზე შეიკრა წრე, რომელმაც ეს დევიზი თავის დროშას წააწერა.

ნინოშვილის საფლავზე ეს წრე, მის უახლოეს მონაწილეობით—ხელმძღვანელობით 1893 წელს დაარსებული, პირველად გამოვიდა საჯაროთ თავის მიზნების ჩამოსახვით, თავისი გეგმით.

ამ საფლავზე იდეურად მოინათლა ქართველი სოციალდემოკრატია—ნინოშვილის საფლავზე.

შ. წულუკიძე.

მცირე რამ ახალი თაობის მოვალეობებზე

ჩვენი ქვეყნის უბედო-ბედმა გვარგუნა დევნილობაში მოვიგონოთ და ღირსეული პატივით შევხვდეთ ჩვენი პარტიის დაარსების 40 წლის თავს. ტკბილი და თანაც უაღრეს მწარე განცდების ქვეშ ვეგებებით ამ დღეს. მაგრამ ღრმა დაკვირვება პარტიის დედა-აზრის, მისი დოქტრინის, მისი არსების ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დრო საზომი ყოველგვარი უბედურების თუ ბედნიერების ჩვენ სასარგებლოთ ბრუნავს. ჩვენი პარტიის ახალგაზდობას უდავო ადგილი აქვს მიჩნეული ამ ისტორიულ დღეს; მაგრამ უფრო სწორათ რომ ვთქვათ კითხვა მის მოვალეობებს შეხება, და როგორც ერთ წევრს ამ ჩვენი საერთო ოჯახისას, ამ სტრიქონების ავტორსაც სურვილი აქვს, მოკლედ მომავალზე ილაპარაკოს.

ძველ თაობას ახალი სცვლის. მაგრამ ერთი უნდა ითქვას, თაობები ან შემოქმედებით, ან მოღვაწეობის პირობებით ერთი-მეორეს არა გვანან. ევროპაში და საზოგადოთ ჩამოყალიბებულ ერთა ცხოვრებაში ახალგაზდობამ უკვე კარგა ხანია დაჰკარგა იდეალი. სალი-ჰუმანიური გრძნობები. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი, და განსაკუთრებით მე-20, და ისიც ომის შემდეგი ხანა, ხასიათდება უაღრესი მატერიალიზმით. და ამავე დროს გონებრივი სილატაკით. მაგალითათ. პარიზის ცნობილი ბუნტარული სულის მატარებელი ლათინური კვარტალი, დღეს ურცხვი ფინანსისტების ან დრომოჭმულ ავადმყოფურ ნაციონალიზმის დროშას ეფარება და ხალხს ებრძვის. ასეთი თაობა შორს ვერ წავა.

ამ 50-60 წლის წინათ ჩვენი ქვეყანა დიდი ხნის ძილისაგან გაღვიძებული წინსვლას ეძებდა, ახალ გზებს, და ახალ იდეალს. ის ინსტინქტიურათ გრძნობდა რომ ამ ქვეყნათ ახალი რამ ხდებოდა...

ჩვენი სახელოვანი პარტიის მამათმთავრებმა ერის გულის წადილი გაიგეს, მათ უყოყმანოთ, მტკიცე ფიცის ქვეშ, ეგ. ნინოშვილის მთლიან ხისაგან გამოკვეთილი კუბოს წინაშე, განსვენებული ს. ჯიბლაძის პირით, საქართველოს ამცნეს ახალი პარტიის წარმოშობა, უფრო სწორათ—ახალი საუკუნის ახალი იდეალებით დაწყება; ჩვენ ჯერ ძლიერ შორსა ვართ მათი წადილების შესრულებისაკენ, მაგრამ ჩვენს წინაშე ვეებერთელა ისტორიული ექსპერიმენტი სძევს, რომელიც ჩვენ სიმხნევეს გვმატებს და სიამყეს გვიღვიძებს.

ამ სახელოვან. და შეიძლება ითქვას, შეუდარებელ თაობას. რომელსაც ჩვენი თაობა მოწიწებით უნდა იხსენიებდეს, არ დაუზოგია არც ენერგია, არც გამბედაობა და არც სიცოცხლე.

არ არის საჭირო ამ მხრივ ისტორიის კითხვა,—აბა გადაიკითხეთ ჰოლა ლომთათიძის გრძნობიარე, რომანტიზმით აღსავსე, სტრიქონები, მის მიერ აღწერილი «თეთრი ღამეები», «ცა დაიქოჩრა», «პირველი მაისი» და სხვები—რომ იგრძნოთ არა მარტო სიამაყე, მწუხარება, ან აღფრთოვანება ამ გმირული ბრძოლებისა. არამედ აგრეთვე დასწვდეთ ღრმა, დაუშრეტელ წყაროს მხნეობისას დღევანდელი ტანჯვის ასატანათ. ჩვენ სამშობლოს სიყვარულის საზღვრებს-არავის არ ვედავებით, მაგრამ გარეშე ფილისტერების ან სულიერათ ავადმყოფებისა ვერავინ ვერ უარყოფს, რომ ჩვენმა უფროსმა მეგობრებმა, თავიანთი მოვალეობის ერთგულებმა, საქართველოს ეროვნული და პოლიტიკური ფორმა მისცეს და სწორეთ ამ მის ღრმა ეროვნულ მომზადებას უნდა მიეწეროს, რომ ჩვენმა ხალხმა ტირანიული ხელისუფლება არ მიიღო, რითაც მან სავსებით გაამართლა ჩვენი უცხოელი მეგობრების მაღალი, და უნდა ითქვას, სამართლიანი შეხედულება მასზე.

ჩვენ პარტიასაც უფლება არ აქვს იყოს უმადური, რადგან მასში ქართველმა ერმა მისი მირმქმელი და მეგობარი დაინახა, მისი სიცოცხლე და მომავალი მას ჩააბარა. მაგრამ ხანმოკლე გამოდგა ეს გაშლილი შემოქმედება, ჩვენ საუკუნეში ბოროტების ღმერთები ჯერ კიდევ ძლიერნი არიან, ჩვენც აქ დავეცით...

ჩვენმა პარტიამ შეცვლილ ჯოჯოხეთურ პირობებში ბრძოლა განაგრძო. აქ ის მარტო არ დარჩა, მასთან მივიდა და მიდის ახალგაზდობა. სწორეთ ამ მოვლენაში არის ჩვენი იმედი, ჩვენი ძალა. ჩვენი ახალთაობა მიდის იქ, სადაც არის ტანჯვა-წამება, სიმშილი და ბრძოლა უმოწყალო ლაჩარ მოწინააღმდეგესთან და ეს იმიტომ რომ ის გაურყვნელია, მასში იბრძვის ინსტინქტი ჭეშმარიტების.

ცხადია მას თეორეტიული მომზადება აკლია, მაგრამ ადამიანური ღირსებებით აღსავსეა, ჩვენი ახალგაზდა მეგობრები გრძნობენ, მათ იციან რომ ბოლშევიზმი უცხო ძალა არის. ეს წინააღმდეგობა დიდხანს ვერ იარსებებს. ჩვენ ვგრძნობთ, ადრე თუ გვიან ჩვენ მოქალაქენი გავხდებით ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით, მოვლენათა მსვლელობის ძალით, ჩვენი მოწინააღმდეგენი ხალხთა გადაწყვეტილებას ვერ გაექცევიან, ჩვენ ხალხს, როგორც სხვებს, ერთ დღეს მეტყველების უნარი მიეცემა, ამ ჭეშმარიტებას ვერაფერი ვერ დააკავებს. ეს საუკუნის მოთხოვნილებაა. ადამიანის სიცოცხლის და უფლებების პატივისცემა ყველა ჯალათების კარებზე რეკავს. ეს არც ჩვენ მტრებს ასცილდებათ, ვისურვოთ მხოლოთ რომ ეს გამარჯვება უფრო სწრაფი ყოფილიყოს და რაც შეიძლება უმტკივნეულო.

ჩვენი ახალითაობა, როგორც დავინახეთ, ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლია და მაშასადამე, ეროვნული მთლიანი ფრონტის თანამედროვეც. აქ ის ხედავს არა მარტო ქართველ ანტიბოლშევიკურ პარტიათა პოლიტიკურ სიბრძნეს, არამედ ქართველი ხალხის ინსტინკტს თავდაცვისას. საუბედუროთ, როგორც ჩვენი პარტია ისე მისი ახალი თაობაც ძლიერ ხშირათ უსამართლო თავდასხმის მსხვერპლი არიან, ჩვენი უცხოეთში ნაციონალისტურათ განწყობილ წრეებისაგან.

ჩვენ ეს არ გვაკვირვებს და არც გვაშინებს. გასაგები მიზეზების გამო, ჩვენი ქვეყნის ნაციონალიზმი ღრმა სოციალურ ნიადაგს მოკლებულია. ის უფრო გამოხატავს გარდაცვლილ თავად-აზნაურულ იდეოლოგიას, აქედან აიხსნება მისი სისუსტეც.

საკმარისია გადაიკითხოთ მათი მრავალი და უფერული გამოცემანი, აღსავსე მაღალ ფრაზებით, რომ იგრძნოთ მათი გონებრივი სილატაკე: სწორეთ ამ ინტელექტუალური კრიზისით შეგიძლიათ ახსნათ მათი ლანძღვა-გინების ტონი: სამართლიანათ ყველა ქვეყნის ნაციონალიზმი ერთმანეთს ჰგავს... ცხადია, ერთ დღეს ჩვენი მყვირალა და მსუბუქი ნაციონალიზმი ქართულ სინამდვილეში ადგილს დაუთმობს ქართულ ნორჩ და შეიძლება ცინიკურ ბურჟუაზიას, მაგრამ აქაც ჩვენი პოზიცია წინასწარ განსაზღვრული არის. ჩვენ, როგორც მუდამ, ჩაგრულთა მხარეზე ვართ.

ამრიგათ, ჩვენ პოზიცია განსაზღვრული გვაქვს მებრძოლ საქართველოს და მისი მტრების წინაშე. ჩვენ ვფიქრობთ მომავალზე. როგორც აქ უცხოეთში (რადგან აქ ჩვენ ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია) ისე იქ, საქართველოში «ბრძოლის ხმის» უკანასკნელ №-ში მოთავსებული წერილი ამ მხრივ ღრმა დაფიქრების ღირსია.

ჩვენ არ უნდა მოვწყდეთ არც ერთ წუთით ღრმა პარტიულ პატრიოტიზმს, ეჭვი არასოდეს არ უნდა შევიტანოთ პარტიის მაღალ მოწოდებაში, უკიდურესი განსხვავების დროსაც სამართალი ვეძიოთ პარტიაში და არა პარტიის გარეშე. აქ არის არა მარტო ჩვენი წმიდა მოვალეობა, არამედ ჩვენი ეგოისტური ინტერესიც. ამ გზას მიჰყვებოდენ მუდამ ჩვენი წინამორბედნი, ჩვენც აქ უნდა დავრჩეთ.

ცხადია, პროგრამა შეიძლება ამა თუ იმ შემთხვევაში ცხოვრებისაგან გასწრებული დარჩეს, ან მოგვეჩვენოს ეს, მაგრამ მოძღვრება, დოქტრინა ჩვენი მოძრაობის ერთათერთია, რომელიც ცხოვრების ძირითად კითხვების განმარტებას და გაშუქებას იძლევა. საქართველოს მომავალიც აქ არის ჩანერგილი. ჩვენ არ უნდა ავყვეთ ზერელე ფსიქოლოგიას ნაციონალიზმისას, რომელიც თავის საკვებ მასალას წარსულში ეძებს. მრავალი რამ წარსულში ჩვენთვის ძვირფასი და სადიდებელი, მაგრამ საზომი თანამედროვე კულტურდი ერისა უკვე სხვა არის. ერი იბრძვის ბოლშევიკების ტირანიის მოსაცილებლათ, მას სურს სიცოცხლე ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით, ე. ი. მის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება, მცხოვრებთა გონებრივი დონის ამაღლება, ადამიანური უფლებების საბოლოვოთ მოპოება, შრომის პატიოსანი და ღირსეული შეფასება. სწორეთ ამ მომავლის შემეცნებაში არის პარტიის და მისი ახალთაობის ისტორიული რეზონ დეტრი; გამარჯვების რწმენა მით უფრო საფუძვლიანია რომ ჩვენ შეიარაღებული ვართ ისეთი დოქტრინით, რომელიც ადამიანის გონების და მისი მატერიალური მოთხოვნილებების საბოლოო პასუხის მიმცემია. დღევანდელი მსოფლიო კრიზისები აშკარად მოწმობენ, რომ მხოლოდ სოციალიზმს ძალუძს სამართლიანი და ღრმა გარდაქმნის მოხდენა. მაგრამ თუ ევროპაში და სხვა ქვეყნებში სოციალიზმის წინსვლა შეფერხებულია, ეს მხოლოდ ორი ღრმა მიზეზით: პირველი, რომ ძველი წყობილება თავს იცავს, გამოსავალს ეძებს (შეიძლება კიდეც მონახოს დროებით), ამ ორი სისტემის ბრძოლას მეტად მწვავე ხასიათი აქვს; მეორე: თუ სოციალურათ საზოგადების ცვლილების პირობები მზათ არის, სამწუხაროთ მუშათა და გლეხთა წრეები ჯერ კიდევ ვერ არიან იმ გონებრივ დონეზე ასულნი, რომ გამარჯვება სისწრაფით მოიპოვონ, და თუ მხედველობაში მივიღებთ იმ დახმარებას და გამაგრებას, რომელსაც ბოლშევიზმი რეაქციას უხვად აძლევს, აშკარად დავინახავთ იმ გამოუსავალ წრეს, რომელშიაც დღეს კაცობრიობა იმყოფება.

მაგრამ ვინაიდან ჩვენ გვრწამს გამარჯვება ჩვენი იდეალების საზოგადოთ, თვით საქართველოს სინამდვილეშიდაც ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ჩვენი ხალხის აღორძინება ჩვენი პარტიის პოლიტიკურ და მორალურ ხელმძღვანელობის გარეშე.

ცხადია განთავისუფლების ხანა, შემდეგ აღორძინების და შემოქმედების პერიოდები მრავალი პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ქარიშხალით და რეაქციით აღინიშნება; ამის გათვალისწინება ძნელი არ არის. მაგრამ დარაზმული, მაღალი იდეალებით გამსჭვალული ჩვენი პარტია ქართველი ხალხის გემს სამშვიდობოზე გაიყვანს, რომ ჩვენც უფლება და საშვალება გვქონდეს მივიდეთ ხალხთა საერთო ოჯახში, როგორც ერთი ღირსეული წევრი; აი როგორ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შორეული მომავალი, მნიშვნელობა არ აქვს იმ ფაქტს, რომ პეიზაჟი მომავლის სუსტი კალმით არის დაწერილი. ჩვენ ბედნიერი ვიქნებით, თუ ჩვენი უფროსი მეგობრების ისტორიული შემოქმედება თავის მთავარ მოწოდებაში შეგვიგნია. ჩვენ სამართლიანი სიამაყით ვფიქრობთ, რომ ჩვენი მეგობრები თავიანთი გამძლე მხრებით, შორსმჭვრეტელობით, გამბედაობით და მამობრივი სიყვარულით კიდევ დიდხანს განაგრძობენ ბრძოლას და მემკვიდრეობას ახალ და თავისუფალ საქართველოში ველით...

გ. წერეთელი.

ზომა, შემოიღო ყოველგან ადგილობრივი თვითმართველობა და სხვ., ერთი სიტყვით მთელი საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ყოველივე დარგში მოხდა უდიდესი ცვლილება და ცხოვრება ჩაყენებულ იქნა ერთნაირ ნორმალურ კალაპოტში. შეუძლებელია საგაზეთო წერილში ყველაფერზე დეტალურათ წერა, ეს ისტორიის საქმეა. აქ მხოლოდ საზოგადოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სოციალდემოკრატიას მიუძღვის უდიდესი ღვაწლი იმაშიაც, რომ მან რევოლიუციის წლებში საქართველო გადაარჩინა კავკასიის ფრონტიდან დაძრულ გალოთებულ და გაბოლშევიკებულ ნახევარ მილიონიან რუს ჯარისკაცთა მიერ ცარცვა-გლეჯა-წალეკისაგან.

ვინ იცის! ბოლშევიკურ მოძრაობის აზვირთებულ ტალღებს ეგებ თვით რუსეთშიდაც მიეღო სხვა სახე და მიმართულება, რომ რუს რევოლიუციონერები და მათ შორის იმ დროს მომუშავე ჩვენი წარმომადგენლები გაყოლოდენ იმ გზას, რომელსაც მათ ჩვენი პარტია ურჩევდა.

როცა პეტერბურგის დემოკრატიულ თათბირზე საქართველოდან დელეგაცია წავიდა, ამ დელეგაციას, რომლის მეთაური ნ. ჟორდანია იყო, ჩვენი პარტიისაგან დავალება ჰქონდა თათბირზე მოეთხოვა ერთფეროვანი სოციალისტური მთავრობის შედგენა, დამფუძნებელი კრების მოწვევის და მიწის საკითხის გადაჭრის დაჩქარება და მშვიდობიანობის საჩქაროთ აღდგენა. მიუხედავათ ჩვენი დელეგაციის ცდისა. თათბირმა მისი აზრი არ გაიზიარა და შემდეგ სწორეთ ამ კითხვების დროზე მოუგვარებლობის გამო იყო რომ რუსეთის რევოლიუცია ანარქიას მიეცა და ბოლშევიზმის უკიდურესობაში გადავარდა.

1918 წელს ქართველმა ხალხმა სოც. დემოკრატიის ხელმძღვანელობით თავისი თავი თავისუფლათ და დამოუკიდებლათ გამოაცხადა. საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, საფუძველი ჩაეყარა. განხორციელებულ იქნა იმ პროგრამის ერთი მუხლთაგანი. რომელიც 25 წლის წინეთ (1893 წელს) ნ. ჟორდანიამ დასწერა და რომელსაც «ეკონომიური წარმატება და ეროვნება» ეწოდება. ამ პროგრამაში ნ. ჟორდანია მთელი ერის თავისუფლებას აღიარებდა ხელშემწყობ პირობათ ადამიანთა ცხოვრების კეთილდღეობისა. ერის თავისუფლება და დამოუკიდებლობა მისთვის სოციალიზმის განხორციელების ერთი პირობათაგანი იყო. ნ. ჟორდანიას წილათ ხვდა ყოფილიყო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე და რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი. ის ჩაება დაუღალავ და ენერგიულ მუშაობაში—პრაქტიკულათ ცხოვრებაში გაეტარებინა ის პრინციპები, რომელსაც 25 წლის განმავლობაში იცავდა მწერლობაში.

თავის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში ნ. ჟორდანია მუდამ ერის ფართე მასების ინტერესებიდან გამოდიოდა და ამ მასების პსიქოლოგიას და სულისკვეთებას ყოველთვის დიდ ანგარიშს უწევდა. ხმა ღვთისა—ხმა ერისაო, ხშირათ სწერდა და ამბობდა ის. თავის მოქმედებაში და აზროვნებაში ის მუდამ ხელმძღვანელობდა ჟორესის ცნობილ თეზისით: «მე მირჩევნია ვცდებოდე მუშათა კლასთან ერთათ, ვიდრე მართალი ვიყო მის წინააღმდეგ»-ო. ასეთი მსოფლმხედველობის მქონე ის, რასაკვირველია, თავიდანვე უნდა დაპირდაპირებოდა ბოლშევიზმს. ეს ასეც მოხდა. 1903 წელს რუსეთის სოც. დემოკრატიულ პარტიის მეორე ყრილობაზე ნ. ჟორდანია სასტიკათ ილაშქრებდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. შემდეგ, როცა ის საზღვარგარეთიდან დაბრუნდა (1905 წელს) და ბოლშევიზმ-მენშევიზმის საკითხი ჩვენ პარტიულ ორგანიზაციებში დასვა, ყველა ჩვენმა ორგანიზაციებმა მენშევიზმის დებულებები გაიზიარა.

ერის უმრავლესობის მომხრობა და შემდეგ მისი საერთაშორისო ოჯახში შეყვანა—აი რა იყო ნ. ჟორდანიას დევიზი თავიდანვე. თავისი აზროვნებით, გონებით, სულისკვეთებით და მოქმედებით ის მუდამ ჩვენი ერის მშრომელ ნაწილთან იყო და მას არასოდეს არ ცილდებოდა. ამიტომაც ის მთელი ამ ორმოცი წლის განმავლობაში ჩვენი პარტიის უდავო ლიდერი და ხელმძღვანელი იყო და არის დღესაც. მართალია, დღეს ის მტრის უხეში ძალმომრეობის გამო მოშორებულია მის ერს და პარტიას, მოწყვეტილია მოქმედების და საქმიანობის ნამდვილ ასპარეზს. მაგრამ ეს მისი დაშორება და მოწყვეტა მხოლოთ ფიზიკური ხასიათის არის. სულით, გულით, მთელი მისი გონებით და არსებით ის ქართველ ხალხთან და ჩვენ პარტიასან არის.

მტრის ოკუპაციის მძიმე ხანაში ჩვენი პარტია იქ, საქართველოში, ეწევა გმირულ ბრძოლას, არ ერიდება აუარებელ მსხვერპლის გაღებას, რომ მომხთურ მტრის უღელი კისრიდან გადიძროს და ქვეყანა კვლავ თავისუფალი და დამოუკიდებელი გახადოს. ეხლა გადახედეთ მისი ლიდერის დაუღალავ ნამუშევარს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, საქმიანობის ყველა სფეროში, აქ ემიგრაციაში, გაეცანით მთელ მის ნაწერებს, როგორც ქართულ, ისე სხვა ქვეყნების პრესაში და თქვენ დაინახავთ, რომ ჩვენი პარტია და მისი ხელმძღვანელი—ნ. ჟორდანია ერთი და იმავე იდეალით ცოცხლობენ, ერთი და იმავე საქმეს ემსახურებიან და შეთანხმებულათ ერთათ მოქმედებენ.

ჩვენი პარტიის ორმოცი წლის თავი, მისი 40 წლის ისტორია, ამავე დროს ნ. ჟორდანიას პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლის თავიც არის. ამ ორი მომენტის ერთი მეორის დაშორება და განცალკევება ყოვლათ შეუძლებელია.

ამ ორმოცი წლის განმავლობაში ნ. ჟორდანია იყო არა მარტო ჩვენი პარტიის იდეოლოგი, უდავო ხელმძღვანელი და გზის მაჩვენებელი, არამედ ამავე დროს ქართველთა შორის საუკეთესო მწერალი და პუბლიცისტი, მთელი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მუდმივი მაღვიძებელი და მამოძრავებელი.

ჩვენი პარტიის და ნოე ჟორდანიას გავლენა და მნიშვნელობა არ განისაზღვრება მხოლოთ საქართველოს ფარგლებით. ჩვენ ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ ის როლი, რომელიც საქართველოს სოციალდემოკრატიას უთამაშია რუსეთის რევოლიუციურ ცხოვრებაში. ამას თვით რუსი ამხანაგებიც აღიარებდენ. 1912 წელს გიორგი პლეხანოვი ერთ შეხვედრის დროს ჟენევაში ქართველ სოციალდემოკრატებს გვეუბნებოდა, ნ. ჟორდანია არის არა თუ თქვენი ერთათ ერთი ცნობილი თეორეთიკოსი, არამედ საუკეთესო ტაქტიკოსი მთელი რუსეთის სოციალდემოკრატიის რიგებშიო. ტაქტიკა დიდი ხელოვნებაა და ამ ხელოვნებით ის მდიდრათ არის დაჯილდოვებულიო.

ნ. ჟორდანიას ზოგ ნაწერების უცხო ენებზე თარგმანმა და მის წერილებმა სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტურ პრესაში ევროპის სოციალისტების დიდი ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ამუკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. ჩვენი მეგობარი კამილ ჰიუსმანსი ამ ერთი წლის წინეთ გვეუბნებოდა, კ. კაუცკის და ნ. ჟორდანიას ბევრი ჩვენი ამხანაგები სრულიათ სამართლიანათ სთვლიან ინტერნაციონალის საუკეთესო მოაზროვნეთო.

ამა წლის 15 იანვარს ნ. ჟორდანიას შეუსრულდა 65 წელი. დღეს ის, როგორც ამ 40 წლის წინეთ, როცა მან დასწერა მისი ნაწერების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში—«ეკონომიური წარმატება და ეროვნება», სავსეა ახალგაზდული ენერგიით, შრომის უნარით და სიყვარულით და განსწავლულია მრავალ წლების გამოცდილებით.

ამ 40 წლის თავზე ჩვენი პარტია იმყოფება განსაკუთრებით მძიმე პირობებში და გასაჭირში. მისი ბრწყინვალეთ გადატანილი ორმოცი წლის სახელოვანი ბრძოლები საკმარისი არ აღმოჩნდა მისი საქმის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლათ. უეჭველია, რომ მას მოელის მომავალში უდიდესი და უმძიმესი ბრძოლების გადატანა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის შეხვდება ამ ბრძოლებს ისეთივე გამჭრიახობით და მხნეობით, რომელსაც იგი წარსულში იჩენდა და იჩენს დღევანდელ ჯოჯოხეთურ პირობებში. მას არასოდეს წინეთ ისე არ სჭირებია მედგარი და საზრიანი ხელმძღვანელობა, როგორც სჭირია დღეს. ამიტომაც მისთვის ამ ისტორიულ დღეს ჩვენი უპირველესი სურვილია მივესალმოთ ჩვენ პარტიას და მის ხელმძღვანელ ნ. ჟორდანიას განუყოფად და გამოვსთქვათ იმედი, რომ ახლო მომავალში მათ სულიერ ერთიანობას თან დაერთოს მათი კვლავ ერთათ შეყრა იქ საქართველოში და ჩვენი ერის საბედნიეროთ და საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლათ კიდევ დიდი ხნის დაუღალავი და გმირული საქმიანობა.

ვ. გვარჯალაძე.

თებერვლის რევოლიუციის წინ

1.

საქართველოს სოციალდემოკრატიისთვის თებერვლის რევოლიუცია მოულოდნელი ამბავი არ ყოფილა. იგი მას აუცილებელ მოვლენათ თვლიდა და მის დასაჩქარებლათ მუშაობდა.

1905 წ. რევოლიუციის შემდეგ ჩვენს პარტიას რევოლიუციაზე გული არ გატეხია, როგორც ეს დაემართა ზოგიერთ პარტიას რუსეთში და მათ შორის რუსეთის მენშევიკების ერთ ნაწილს—ლიკვიდატორებს. ამ უკანასკნელებმა არალეგალური პარტია და მუშაობა უარყვეს და რევოლიუციის შესაძლებლობა სათუო საქმეთ გამოაცხადეს.

საქართველოს სოციალდემოკრატია ამ გზას არ გაჰყვა. მართალია, ზოგიერთი ამხანაგები ჩვენს პარტიასაც ჩამოშორდენ და «კეთილ ცხოვრებაზე» დაიწყეს ზრუნვა, მაგრამ საერთოთ პარტიამ თავისი გზა განაგრძო. მისი მუშაობის გეზი მიმართული იყო რევოლიუციისკენ. ამ მიზნით ის ამაგრებდა არალეგალურ ორგანიზაციებს და იყინებდა ლეგალურ ასპარეზს. ჩვენ არასოდეს არ დაგვიპირდაპირებია ერთიმეორესთვის ლეგალური და არალეგალური მუშაობა. მათ ერთიმეორეს დამატებათ ვთვლიდით და ორივეს ერთი მიზნისთვის ვიყენებდით,—ხალხის შესაკავშირებლათ და გასათვითცნობიერებლათ. მთელ ამ მუშაობის პროცესში ჩვენ ვცდილობდით ვყოფილიყავით ფართო მოძრაობის პარტია და არა ვიწრო იდეური სექტა. მეტ ყურადღებას ვაქცევდით მუშაობას, საქმიანობას და არა კამათს იმის შესახებ, თუ მოძრაობის რომელი ფორმა სჯობია. ჩვენთვის ორივე საჭირო იყო, ლეგალურიც და არალეგალურიც და პირობებისდა მიხედვით ვიყენებდით ერთსაც და მეორესაც. ჩვენ ტაქტიკას ვუფარდებდით შეცვლილ პირობებს და არა მიზანს. ამით განსხვავდებოდა საქართველოს სოციალდემოკრატია, როგორც რუსეთის მენშევიკებისგან, ისე—ბოლშევიკებისგან.

ასეთი მუშაობის შედეგი იყო ის, რომ საქართ. სოც. დემოკრატიასა და მასებს შორის კონტაქტი არ დარღვეულა და განყრა არ მომხდარა არც რეაქციის დროს და არც მსოფლიო ომის ხანაში. ამით აიხსნება ის, რომ ჩვენ შევინარჩუნეთ, როგორც არალეგალური, ისე ლეგალური პოზიციები. მთელს რუსეთის იმპერიაში მხოლოდ საქართველოს სოციალდემოკრატიამ შეინახა განუწყვეტლივ პარტიული ორგანიზაციები და გამაგრდა ლეგალურ ასპარეზზე ყოველდღიური გაზეთის, სახელმწიფო დუმის სოც. დემ. ფრაქციისა და სხვა ასეთების სახით. ვერ გაგვტეხა და ვერ დაგვშალა ვერც მეფის სასტიკი რეაქციის რეპრესიებმა და ვერც იდეიურ მოწინაამდეგეთა ჩვენზე მოტანილმა იერიშებმა. ამიტომ საქართ. სოციალდემოკრატიამ ორივე რევოლიუციაში დიდი როლი ითამაშა.

რით აიხსნება ეს? იმით, რომ ზემო დასახელებული მუშაობის მეთოდით ჩვენ შევსძელით მთელი დემოკრატიის დარაზმვა, მისი ერთი მებრძოლი დროშის ქვეშ დაყენება და ამ მებრძოლი ძალის ერთი მთავარი მიზნისკენ მიმართვა. ამ მთავარ მიზანს წარმოადგენდა მაშინ—თვითპყრობელობასთან ბრძოლა, მისი დაცემა.

რუსეთში სულ სხვა სურათი იყო. იქ დემოკრატია ვერ დაირაზმა და პოლიტიკურათ ვერ მომწიფდა. რუსეთის სოც.-დემ. პარტიამ არამც თუ საერთოთ დემოკრატია ვერ დარაზმა და ვერ დააყენა თავისი დროშის ქვეშ, არამედ თვით მუშათა კლასის ფართო მასების შეკავშირებაც ვერ შესძლო. მენშევიკების საუკეთესო ბელადს პ. აქსელროდს ეს მდგომარეობა მუდამ აწუხებდა და სულ მასზე ფიქრობდა, თუ როგორ გამოეყვანა პარტია აქედან. ამ მიზნით მან უპარტიო მუშათა ყრილობის მოწვევის იდეიის ქადაგებაც კი დაიწყო. მის აზრს უარყოფით შეხვდენ, როგორც ბოლშევიკები, ისე ზოგიერთი მენშევიკიც და მათ შორის გ. პლეხანოვიც.

ასეთ პირობებში ზედმეტი იყო დემოკრატიაში მუშაობაზე ლაპარაკიც კი. რუსეთის სოციალდემოკრატებს დემოკრატია მხოლოდ სახეში ყავდათ და არა ორგანიზაციაში. პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირი, რომელზეც ბოლშევიკების ლიდერები ბევრს ყვიროდენ, მხოლოდ ქაღალდზე ეწერა. 1907 წ. ლონდონის პარტიულ ყრილობაზე სახ. დუმის სოც.-დემ. ფრაქციის ლიდერს ამხ. ირ. წერეთელს ბოლშევიკური ფრაქციის ხელმძღვანელმა გ. ალექსინსკიმ, ირონიული კილოთი შენიშნა: წერეთელი წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენელია, ხოლო მე პეტერბურგის სამრეწველო პროლეტარიატის. ამიტომ მისი ტაქტიკა ოპორტიუნისტულია, ჩემი კი-რევოლიუციონურიო. ამაზე ამხ. წერეთელმა მოსწრებულათ უპასუხა: პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურა, რომელზეც ლენინი და ალექსინსკი ოცნებობენ და რომელსაც ისინი სიზმარში თუ იხილავენ, ხოლო ცხოვრებაში ვერა, ჩვენ ამიერკავკასიაში ფაქტიურათ განვახორციელეთო.

ეს სრული ჭეშმარიტება იყო. მუშებისა და გლეხობის მოძრაობა სოციალდემოკრატიამ საქართველოში თავიდანვე ერთიმეორეს დაუკავშირა, ერთმანეთს გადააბა და დემოკრატიის პლათფორმაზე ერთი დროშით დარაზმა. ამ ორი კლასის კავშირი ჩვენში ისე მტკიცე აღმოჩნდა, რომ მისი ჩაშლა ვერ შესძლო ვერც მეფის რეაქციამ და ვერც ბოლშევიკების დღევანდელმა პროვოკაციულმა მუშაობამ.

ბოლშევიკები ბევრს სწერენ ლენინის მიერ გლეხების როლის სისწორით გაგებაზე. სრული სიყალბეა, ვერც ლენინმა და ვერც მისმა მემკვიდრეებმა გლეხობა ვერ გაიგეს ლენინმა დააფასა იგი მხოლოდ როგორც რევოლიუციონური ძალა და მისი გამოყენება და მოტყვილება მოისურვა. სტალინი ეხლა მას რევოლიუციონურ ძალათაც აღარ სთვლის და მის ფიზიკურათ მოსპობას ცდილობს.

სულ სხვანაირათ მიუდგა გლეხობას საქართველოს სოციალდემოკრატია თავიდანვე. მასში იგი ხედავდა მშრომელ მასას თავისი ინტერესებით, რომელსაც მუშათა კლასთან დემოკრატიის ნიადაგზე ბევრი რამ საერთო ქონდა. ჩვენ თავიდანვე გლეხობის ინტერესების დაცვა დავისახეთ მიზნათ და არა მისი გამოყენება. ამიტომ ორივე რევოლიუციონური კლასის—მუშებისა და გლეხობის მოძრაობა ერთ კალაპოტში ჩადგა და დემოკრატიული გზით ერთი მიზნისკენ მიიმართა.

აი საქართველოს სოციალდემოკრატიის სიძლიერის წყარო და სათავე. ეს ვერ გაუგიათ დღემდის ვერც ბოლშევიკებს და ბევრს ვერც სხვას. ერთნი ამ ისტორიულ მოვლენას საქართველოს სოციალდემოკრატიის «წვრილი ბურჟუაზიული ფსიქოლოგიით» ხსნის, ხოლო მეორენი—მით, რომ ჩვენ სხვა პარტიებს მივასწარით სამუშაოთ ხალხში.

ამ მოვლენაზე მიტომ შევჩერდი, რომ ჩემის აზრით, ჩვენ დღესაც ამ ნიადაგზე უნდა დავრჩეთ, გავერკვეთ მუშებისა და გლეხების ინტერესებში სისწორით, დაუკავშიროთ ისინი დემოკრატიული გზით ერთმანეთს და ეს გაერთიანებული ძალა მივმართოთ ბოლშევიკურ თვითპყრობელობის წინააღმდეგ. ეს ტაქტიკა წარსულში ისტორიამ გაამართლა. მე ვფიქრობ, რომ მას, საბჭოურ პირობებთან შეხამებულს, მომავალიც გაამართლებს.

2.

მსოფლიო ომის გამოცხადების წინ ჩვენი პარტია რევოლიუციას დღე დღეზე მოელოდა. რუსეთის მთელ იმპერიაში მუშათა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა გაფიცვებმა ფართო ხასიათი მიიღეს. პეტერბურგში და ბაქოში გაფიცვა გამწვავდა. გაფიცულებმა ქუჩებში ბარიკადები ააგეს და ნამდვილი სამოქალაქო ომი დაიწყო. საერთოთ რევოლიუციონურმა ტალღებმა მაღლა იწყო სვლა.

რუსეთში ამ მოძრაობას უმთავრესათ სტიქიური ხასიათი ქონდა. იქ ჯერ გაფიცვა დაიწყებოდა ხოლმე და პარტია მერე მიდიოდა გაფიცულებთან სახელმძღვანელოთ. ამიერკავკასიაში და საქართველოში მოძრაობას მწყობრი და ორგანიზაციული ხასიათი ქონდა. მთელ მოძრაობას სათავეში უდგა ამიერკავკასიის ს.-დემ. პარ. საოლქო კომიტეტი, რომელიც ფაქტიურათ ცენტრალური კომიტეტი იყო, ვინაიდან რუსეთის სოც. დემ. პარტიის ცენტრიდან ის არავითარ დირექტივებს არ იღებდა და მას არც ემორჩილებოდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა.

ლენინმა 1912 წ. პრაღაში მოწვეულ ბოლშევიკების ყრილობაზე ყველანი, რომლებიც მის შეხედულებას არ იზიარებდენ, პარტიის გარეშე გამოაცხადა, შექმნა ცენტრალური კომიტეტი და პარტიის იმიტაცია, ნამდვილ პარტიათ გამოაცხადა. სხვათა შორის ეხლა ირკვევა, რომ ამ ყრილობაზე დელეგატათ რუსეთის არალეგალურ ორგანიზაციებიდან პოლიციის დეპარტამენტის 3 აგენტი იყო. 2 მათგანი ცეკაშიაც აირჩიეს წევრებათ. ამ ყრილობის მთავარი ორგანიზატორი იყო სერგო ორჯონიკიძე. მან უტიფრათ გამოაცხადა თავი ამ.-კავკასიის ორგანიზაციების წარმომადგენლათ. ამისთვის იგი ლენინმა ცეკას წევრათ აირჩია, ხოლო სტალინი—კანდიდატათ.

რასაკვირელია, ჩვენი პარტია ასეთ ცეკას კანონიერათ ვერ იცნობდა და მის დირექტივებს ვერ დაემორჩილებოდა. ჩვენი პარტიული ორგანიზაციები თვითონ იწვევდენ თავის ყრილობას და კონფერენციას. ასეთები, მეტი თუ არა, წელიწადში ერთხელ მაინც ხდებოდა. აი ამ ყრილობებზე მუშავდებოდა ტაქტიკა, პლათფორმა და ირჩევდენ ხელმძღვანელ ცენტრს.

როცა მოძრაობა გაძლიერდა, ჩვენმა ცეკამ მუშაობა კიდევ უფრო გააფართოვა და გააძლიერა. ის იყო მოძრაობის მთავარი შტაბი და მას ეჭირა ყველა ძაფები ხელში. პარტიული ცენტრი და პარტიული ორგანო ამ დროს ქუთაისში იყო გადმოტანილი და იქიდან ვხელმძღვანელობდით მთელ მუშაობას.

კერძოთ ბაქოს მუშების დიდი ეკონომიური გაფიცვა, რომელიც 1914 წ. ივნისში დაიწყო და რომელმაც მაშინ მთელი რუსეთისა და ევროპის ყურადღება მიიპყრო, ჩვენი მოწყობილი იყო. მის მოსამზადებლათ და სახელმძღვანელოთ ცენტრმა მარტში იქ გაგზავნა ამხ. ნ. ხომერიკი, ხოლო შემდეგ მას მოეხმარა ამხ. ალ. დგებუაძე. აი, ამ ორი ამხანაგის უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო ეს გრანდიოზული გაფიცვა. ეხლა ამას ბოლშევიკი ისტორიკოსები და მემუარისტები თავის საქმეთ ასაღებენ, მაშინ კი არც ერთი ბოლშევიკი იქ არ სჩანდა და ცნობილმა ბოლშევიკმა სტეფანე შაუმიანმაც უარი განაცხადა მუშაობაზე.

ჩვენ ძალები არ გვყოფნიდა. საქმე ბევრი იყო, მომუშავენი—ცოტანი. ამიტომ თუ კი იმუშავებდა, ბოლშევიკსაც სიამოვნებით ვიღებდით სამუშაოთ. მაგრამ ასეთები ძლიერ ცოტანი იყვენ. და რომ გავწრთომოდით მუშაობას, ვიწვევდით გადასახლებულებს და ვაბამდით მუშაობაში ახალგაზდებს. სხვათა შორის ამ დროიდან ჩაება სავსებით რევოლიუციონურ მუშაობაში ამხ. გოგიტა ფაღავაც.

ამ დროს საზოგადოებრივი მოძრაობა ძლიერ გაიზარდა. ორგანიზაციები ამოქმედდა და ჰაერი რევოლიუციის სუნით გაიჟღენთა. მაგრამ უცებ ომი გამოცხადდა და სურათი ძირიანათ შეიცვალა.

3.

მსოფლიო ომის გამოცხადების გამო გაფიცვები შეწყდა და პეტერბურგისა და ბაქოს ქუჩები ბარიკადებიდან გაიწმინდა. რუსეთში დაიშალა ახლად აღორძინებული პარტიული ორგანიზაციები და პეტერბურგში შეწყდა მენშევიკების ცენტრალური ორგანოს «რაბოჩაია გაზეტას» და ბოლშევიკურის—«პრავდას» გამოცემა. ამის შემდეგ იქ პარტიული გაზეთები არ გამოსულან თებერვლის რევოლიუციამდის.

ომმა ჩვენი ორგანიზაციებიც შებერტყა, მაგრამ მოსპობით ვერ მოსპო. პარტ-ორგანიზაციების ადგილობრივი ხელმძღვანელების, გაზეთის კორესპონდენტების და აგენტების დიდი უმეტესობა ომში იქნენ გაწვეული. პირველ დღეს ვითომ ჰაერში გამოკიდებული დავრჩით, მაგრამ მალე წაყვანილების ადგილი დარჩენილებმა დაიკავეს, ორგანიზაციები ისევ გამაგრდენ და მუშაობა ისევ გაცხოველდა.

შეიქმნა ახალი ვითარება. ომი ახალ ტაქტიკას და მუშაობის ახალ მეთოდს მოითხოვდა. საინტერესო იყო ის, რომ ხალხის ფართო მასა და განსაკუთრებით ჯარში გაწვეულები, მოითხოვდენ ჩვენი პარტიისგან გარკვეულ აზრსა და დირექტივებს ომის შესახებ.

ამ კითხვების გადასაჭრელათ, ომის გამოცხადების ერთი თვის შემდეგ აგვისტოში, ბაკურიანში შეკრიბა ჩვენი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა. მას დაესწრენ შემდეგი ორგანიზაციის ნამდვილი წარმომადგენლები—თფილისის, ბაქოს, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, ჭიათურის, გურიის, სამეგრელოსი, სამტრედიის და ხაშურის. კონფერენციამ ყველა საჭირბოროტო საკითხებზე რეზოლიუცია მიიღო, ხოლო ომის შესახებ დაადგინა: ომი სრულებითაც არ შეადგენს რუსეთის დემოკრატიის ინტერესებს, იგი დაიწყო რევოლიუციის აჩრდილით შეშინებულმა მეფის მთავრობამ, რათა ამ გზით აიცილოს ხალხის რისხვა თავიდან. ამ მიზნით ის ღვრის ხალხის სისხლს და ხარჯავს ხალხის ქონებას. ამიტომ ხალხმა ომს ომი უნდა გამოუცხადოს და მიზნათ თვითპყრობელობის დაცემა უნდა დაისახოს და სხვა. კერძოთ ქართველი ერის მოქმედების შესახებ კონფერენციამ დაადგინა: არ დაეჯერებია მას არც ერთი მებრძოლი მხარის დაპირება განთავისუფლების შესახებ, არ მიეღო ომში არავის სასარგებლოთ მონაწილეობა და დაეცვა სასტიკი ნეიტრალიტეტი. ჩვენი მიზანი იყო არ გაეღო ხალხს ზედმეტი მსხვერპლი და შეგვენახა იგი ფიზიკურათ და პოლიტიკურათ. ამ მთავარ მიზანს ჩვენ მივაღწიეთ, ბევრს ადგილას თავისუფალ მეომართა რაზმები ჩავშალეთ და საერთოთ ქართველ ერს თავიდან ავაცილეთ სომხის ერის ისტორია. ჩვენ ნეიტრალიტეტის ტაქტიკა ვურჩიეთ სომხის ერსაც. მაგრამ მაშინდელმა მისმა ხელმძღვანელებმა იგი არ მიიღეს და დაუჯერეს რუსეთის მთავრობასა და მის მოკავშირეთ. ისინი დარწმუნებული იყვენ, რომ მათ მოკავშირენი გაანთავისუფლებდენ ოსმალეთის უღლისაგან.

ზემო მოყვანილი შეხედულებანი დავუდევით ფურცლებს საჩქაროთ და გამოვეცით იგი ქართულსა და რუსულ ენებზე, რომელიც გავავრცელეთ, როგორც ჯარში, ისე ხალხში. ამ ფურცლებმა ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მაშინ. ზოგიერთი პარტიული ამხანაგიც კი გვეუბნებოდა—რას შვრებით, ხომ არ გადარეულხართო! მართლაც, იგი ერთათ ერთი ომის საწინააღმდეგო პროკლამაცია იყო, რომელიც მაშინ მთელს რუსეთის იმპერიაში გამოვიდა. იგი რუსეთის სატახტო გაზეთებსაც დავუგზავნეთ ფოსტით.

რუსეთში მხოლოდ სახ. დუმის სოციალდემოკრატიულმა ფრაქციამ კ. ჩხეიძის მეთაურობით დაიკავა თავიდანვე უარყოფითი დამოკიდებულება ომისადმი და შესაფერისი დეკლარაციით გამოვიდა. ბოლშევიკურმა ფრაქციამ, რომელსაც მაშინ უკრაინის ცაკის დღევანდელი თავმჯდომარე პეტროვსკი მეთაურობდა, ვერავითარი საკუთარი აზრი ვერ გამოიმუშავა და ბოლოს იგიც შეუერთდა ჩხეიძის დეკლარაციას. ბოლშევიკები ეხლა იმ დეკლარასიასაც თავისათ ასაღებენ.

დანარჩენმა ორგანიზაციებმა სიცოცხლის ნიშანწყალი ვერ გამოიჩინეს მაშინ. ლენინმა მხოლოდ დიდი ხნის გასვლის შემდეგ შესძლო რუსეთში თავის «იაჩეიკების» შექმნა. პირველ თვეებში კი, როგორც ეხლა მემუარებიდან ირკვევა (შლიაპნიკოვის, ფილიასი და სხვების მოგონებანი), ლენინი ჟენევაში ეხვეწებოდა ყველას, მომიწყვეთ რუსეთში 5-6 კაცის კრება, რომ მერმე აქ მათი სახელით შემეძლოს ლაპარაკიო. ძველი ბოლშევიკური ფრაქციის სახელით გამოსვლა მას აღარ შეეძლო, ერთი იმიტომ რომ ომმა მისი ორგანიზაციები მოსპო და მეორე იმიტომ, რომ სოც. დემოკ. პარტიის ბოლშევიკმენშევიკებათ ძველი დაყოფა ომმა დროებით წაშალა და წარმოშვა «ობორონცობა» და «ანტიობორონცობა», სადაც მენშევიკები და ბოლშევიკები ერთიმეორეში იყვენ არეული. თებერვლის რევოლიუციამ ძველი ფრაქციული მიჯნა ისევ აღადგინა.

4.

ჩვენ ლენინის «გასაჭირს» არ განვიცდიდით. ბაკურიანის კონფერენციამ დაადგინა ცენტრალური ორგანოსი და ცეკას თფილისში გადატანა. სექტემბრიდან ეს სისრულეში მოვიყვანეთ. ნოემბერში, ბაკურიანის კონფერენციის დადგენილებათა სისწორის შესამოწმებლათ, თვით თფილისში მოვიწვიეთ თათბირი. მან ძველი დადგენილებანი დაადასტურა. ამას გარდა ამავე 1914 წ. გავმართეთ თათბირი ქუთაისში, გურიაში და სხვაგან. ხოლო შემდეგში ომის დროს, თებერვლის რევოლიუციამდის, მეტი თუ არა, წელიწადში ერთხელ მაინც ვიწვევდით მორიგ პარტიულ ყრილობას. მეფის ხანაში უკანასკნელი არალეგალური კონფერენცია მოხდა 1917 წლ. 4 თებერვალს სოფ. ჯონჯუათში (ლანჩხუთის რაიონი).

ამ კონფერენციას სპეციალური დანიშნულება ქონდა, მას უნდა გადაეჭრა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი. ეს ამბავი, არამც თუ ფართო საზოგადოებამ, ბევრმა პარტიულმა ამხანაგმა არც დღეს იცის დაწვრილებით.

საკითხის საჩქაროთ გადასაჭრელათ დასმა გამოიწვია პრეზიდენტ ვილსონის დეკლარაციამ, რომელიც გამოცხადდა 1916 წ. 21 დეკ. და რომლის ერთი მუხლი ჩაგრულ ერთა განთავისუფლებას მოითხოვდა. ცხადი იყო, პარტიას უნდა გამოეთქვა ამის შესახებ თავისი აზრი. ეს იყო ერთი მიზეზი.

მეორე მიზეზი იყო ამ საკითხის გარშემო რედაქციაში მომხდარი უთანხმოება. ამხ. ნ. რამიშვილი შესაძლებლათ თვლიდა დაგვეწყო წერა გაზეთში დამოუკიდებლობის სასარგებლოთ. მე ამის წინააღმდეგი ვიყავი ორი მოსაზრებით: ერთი რომ ნაადრევათ მიმაჩდა საკითხის საჯაროთ გამოტანა, და მეორე იმიტომ, რომ პარტიას არ ქონდა დადგენილება ამის შესახებ, რომ მით გვეხელმძღვანელა.

ყველა ამის გამო ბიურომ მოიწვია საჩქაროთ ცენტრის კრება. იგი მეტათ საიდუმლო იყო. ლანჩხუთიდან ჩამოვიდა ამხ. ნ ჟორდანია. კრებაზე პირველათ ილაპარაკა ამხ. ნ. რამიშვილმა და შეეცადა დაემტკიცებია, რომ უკვე დრო იყო დამოუკიდებლობის საკითხის წამოყენების. მერე ვილაპარაკე მის წინააღმდეგ მე. ამხ. სილ. ჯიბლაძე კამათში მონაწილეობას არ იღებდა, ახალი ნაავათმყოფარი იყო. ბოლოს ილაპარაკა ამხ. ნ. ჟორდანიამ, გააკრიტიკა რამიშვილის პოზიცია და დაასკვნა: დამოუკიდებლობის პრინციპიალურათ წინააღმდეგი არც ერთი არ ვართ და ვერც ვიქნებით, საქმეა მხოლოდ დროსა და პირობებში, ჩემის აზრით ჯერ ამის მომენტი არ დამდგარა და აჩქარებით შეიძლება ერს ვნება მოვუტანოთ დაშნაკელებსავითო. ვინაიდან საკითხი სადაო შეიქნა, ამიტომ დავადგინეთ მოგვეწვია განსაკუთრებული კონფერენცია მის გადასაწყვეტათ. ამ დღიდან საკითხი პარტიულ მასაში გადავიტანეთ. ერთ მიმდინარეობას ხელმძღვანელობდა ამხ. რამიშვილი, მეორეს ამხ. ჟორდანია. ეს უკანასკნელი მალე დაბრუნდა ლანჩხუთში და ამიტომ თფილისში და სხვაგან მასაში ამ პოზიციას მე ვიცავდი.

ზემო მოხსენებული კონფერენცია დამოუკიდებლობის საკითხს უარყოფითათ არ შეხვედრია, მაგრამ დაადგინა: ვინაიდან ეს მეტათ რთული და მასთან საფრთხილო საკითხია, ამიტომ მიენდოს მისი ყოველი მხრით დამუშავება ხელმძღვანელ ცენტრმა და გაზეთს და ამის შემდეგ მოწვეული [illegible] კონფერენცია მის საბოლოოთ გადასაჭრელათო.

ეს აღარ დაქვცლია, ვინაიდან ერთი თვის შემდეგ რევოლიუცია მოხდა და ამის შემდეგ დამოუკიდებლობის საკითხიც სხვა პირობებში დაისვა. ამ წინასწარ მუშაობას უეჭველათ ქონდა მნიშვნელობა. როდესაც 1918 წ. მაისში დამოუკიდებლობის საკითხი დაგვიდგა წინ გადასაჭრელათ, პარტიული ორგანიზაციებისთვის, განსაკუთრებით ძველ მომუშავეთათვის, იგი მოულოდნელი და დაუშვებელი არ ყოფილა. ამით აიხსნება ის, რომ პარტიაში ამ საკითხს დიდი შეჯახება არ გამოუწვევია.

ასეთი იყო მოკლეთ ჩვენი პარტიის ორგანიზაციული მუშაობა რეაქციისა და ომის ხანაში. ცხადია ბოლშევიკების და კერძოთ ფ. მახარაძის მტკიცება, რომ რევოლიუციის წინ საქართველოში სოც. დემ. ორგანიზაციები არ არსებობდენ და მეტად სუსტი იყო პარტიული მუშაობაო, არ არის მართალი. მართალია მხოლოდ ის, რომ ბოლშევიკური ორგანიზაციები მართლა არ არსებობდენ. მაგრამ ეს იყო ასე 1905 წ. რევოლიუციის დამარცხების დღიდანვე. მათი ფრაქციული ორგანიზაცია დროგამოშვებით მართლაც გაჩნდებოდა ოხრანის აგენტის ინიციატორობით, მაგრამ 2-3 კვირის შემდეგ ისევ გაქრებოდა. ს.-დემ. პარტიული ორგანიზაციები კი, მუდამ არსებობდენ.

5.

როგორც თავში აღვნიშნე, თებერვლის რევოლიუცია მოულოდნელათ არ დატეხია თავზე ჩვენს პარტიას. მართალია, რომელ დღესა და რომელ საათზე მოხდებოდა იგი, ეს ჩვენ არ ვიცოდით, რადგან ჩვენ ბოლშევიკებსავით არ გვწამდა ზევიდან დანიშნული რევოლიუცია. ისე კი დარწმუნებული ვიყავით მასში, რომ თვითპყრობელობა ომს გადაყვებოდა. ეს რწმენა კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რა რომ რუსის ჯარმა 1915 წ. გაზაფხულზე სასტიკი დამარცხება განიცადა კარპატებში. ფრონტზე დამარცხებას დაემატა მთავრობის უძლურება სასურსათო საქმის მოგვარებაში, რასპუტინის თავაშვებულება, «მინისტრების ჩეხარდა», სახ. დუმის გაოპოზიციონერება და სხვა. მთელი რუსეთი და რომანოვების გვარიც კი, ნიკოლოზ მე-II და მის ცოლს, ოპოზიციაში ჩაუდგა. ცხადი იყო, რომ მეფის რეჟიმის დღეები დათვლილი იყო. მეგობრები და მოკეთეები მეფეს ამ მხრით აფრთხილებდენ, მაგრამ ისტორიისგან განწირულს არავისი არ სჯეროდა.

მიუხედავათ ამისა, ზოგიერთი მემუარისტი დღეს გაიძახის—რევოლიუციას არავინ მოელოდაო. მაგალითათ თფილისის ქალაქის ყოფილი მოურავი ალ. ხატისოვი სწერს: ნოემბერ-დეკემბერში მოსკოვსა და პეტერბურგში ყოფნის დროს რევოლიუციას არ მოელოდენ მემარცხენე პარტიებიც და მათ შორის დეპუტატი ნ. ჩხეიძე, რომელთანაც მე ამ თემაზე საუბარი მქონდაო.

რა უთხრა ამხ. კ. ჩხეიძემ ხატისოვს, ეს მე არ ვიცი. ჩვენ ვიცით მეორე; როცა კარლო ჩამოდიოდა ზაფხულობით საქართველოში, ის გადაჭრით ამბობდა—რუსეთი ომში დამარცხდება და თვითპყრობელობაც დაიღუპებაო. გარდა ამისა, 1917 წ. იანვარში ამხ. კარლო რედაქციის სახელზე ღია ბარათში მოკლეთ გვწერდა: დიდი ამბები ხდება, ქარი ქრის და აუცილებლათ დიდ ქარიშხალს უნდა მოველოდეთო.

ამ ქარაგმულათ ნათქმიდან ჩვენთვის აშკარა იყო, რომ რევოლიუცია იწყებოდა. ამხ. კარლო მეტათ ფრთხილი კაცი იყო და რომ მას ამისი საბუთი და რწმენა არ ქონოდა, ასე გადაჭრით თავის აზრს არ მოგვწერდა.

ამასვე გვეუბნებოდა დეპ. ამხ. აკ. ჩხენკელი, რომელიც ყოველ ჩამოსვლისას გვიკეთებდა მოხსენებას.

როგორ უყურებდა რევოლიუციის საკითხს საქ. სოც.-დემოკრატია და მისი ცენტრალური ორგანო? როგორც ვთქვი, ომის გამოცხადების დღიდანვე, ჩვენ გეზი რევოლიუციაზე ავიღეთ. ეს ჩვენი შეხედულება ბაკურიანის კონფერენციაზე მიღებულ რეზოლიუციებში და ფურცლებში გამოვთქვით. პეტერბურგისა და ბაქოს მოხსნილი ბარიკადების გაგრძელება ეხლა ჩვენ გაფიცვის მაგიერ, ფრონტის საქმეს დაუკავშირეთ და ამ რიგათ რევოლიუციონური მუშაობა გავაგრძელეთ.

რევოლიუციის წინ ჩვენი გაზეთი «თანამედროვე აზრი» სწერდა: ყირიმისა და იაპონიის ომებში დამარცხებამ, რუსეთში საზოგადოებრივი მოძრაობა გააძლიერა, 1905 წ. რევოლიუცია გამოიწვია. ფრონტიდან მოსული ცნობები კარგს სურათს არც ეხლა ხატავენ. ამიტომ ეხლაც ამასავე უნდა მოველოდეთ, ვინაიდან ერთი და იმავე მიზეზი, ერთსა და იმავე შედეგს იძლევაო.

მეორე ადგილას იგივე გაზეთი სწერდა: სასურსათო საკითხის მოგვარება ძნელდება, ბიუროკრატიას ამის უნარი არ აღმოაჩდა და რუსეთს შიმშილის აჩრდილი თავზე დასტრიალებს. და რომ ცენზურისთვის აგვეხვია თვალი, მოგვყავდა ნაპოლეონის აზრი—დამშეული ბრბოსი უფრო მეშინია, ვინემ შეიარაღებულის, ვინაიდან რევოლიუციას მშიერი და გამწარებული ხალხი ახდენსო.

ამ ჩვენ ეზოპურ ენას მკითხველი კარგათ იგებდა და როგორც საჭირო იყო ისე ახურდავებდა.

1916 წ. შემოდგომაზე გურიაში, მგონი სოფ. შუხუთში, მოვიწვიეთ ამიერ-კავკასიის კონფერენცია. ბაქოდან წარმომადგენლათ იყო ამხ. პავლე ბერიშვილი, რომელიც მაშინ სანახევროთ კიდევ ბოლშევიკობდა. წინეთ კი, იგი კობას მარჯვენა ხელათ ითვლებოდა ბაქოში. კონფერენციაზე დაისვა დეზერტირობის საკითხი. ჩვენ დეზერტირობის წინააღმდეგი ვიყავით. მობილიზაცია უწევდა ამხ. პავლესაც, მაგრამ ის პარტიული დადგენილებიდან გავანთავისუფლეთ იმ მოტივით, რომ შესაძლებელია მალე რევოლიუცია მოხდეს და ზოგიერთმა ამხანაგმა ფრონტზე წასვლის მაგიერ უმჯობესია არალეგალურ მუშაობას მოკიდოს ხელიო. რასაკვირელია, დაწერილ რეზოლიუციებში ასეთი დადგენილებები არ შეგვქონდა.

თვით ის ფაქტი, რომ დამოუკიდებლობის საკითხის წამოყენებას შესაძლებლათ ვთვლიდით, მოწმობს მას, რომ პარტია რუსეთისა და თვითპყრობელობის საქმეს ამ დროს უკვე წაგებულათ თვლიდა.

ასეთი იყო მოკლეთ პარტიული და საზოგადოებრივი ვითარება თებერვლის რევოლიუციის წინ.

ბაქი.

საფრანგეთი. 1933 წ. 5 თებ.

ნოე ჟორდანიას ნაწერებიდან

... უკანასკნელ 20-25 წ. განმავლობაში ჩვენი ცხოვრება შესამჩნევათ შეიცვალა. შემდეგ ბატონ-ყმობის მოსპობისა, ფოსტა-ტელეგრაფის და რკინის გზების დამართვისა ფეხი აიდგა მრეწველობამ და ვაჭრობამ, გაძლიერდა მიმოსვლა და აღებ მიცემობა. ვაჭრობა შეიქმნა რევოლიუციურ ძალათ ჩვენი ქვეყნისა. ვაჭარი არ კმაყოფილდება ერთი რომელიმე განსაზღვრული ტერიტორიით, იმას სურს ყველგან მისი საქონელი ბატონობდეს, მოცილეობას უწევდეს უცხო საქონელს და მეტ ბაზარს იპყრობდეს. ამისათვის გაჰყავს გზები მიუვალ ალაგას, მიაქვს თავისი ნაწარმოები გასანაღდებლათ და გამოაქვს სამაგიერო სხვაგან გასაყიდათ. ამნაირათ, ნივთიერათ აკავშირებს უცნობ ნაწილებს. სოფელი, ქალაქი, მაზრა გამოდიან ეკონომიურ განკერძოებულ ცხოვრებიდან, ერთ კუთხეში ეჩვევიან უფრო სიმინდის მოყვანას, მეორეში—პურისას, მესამეში—ღვინისას და სხ. (შრომის ამგვარი განაწილება მხოლოდ ახლათ დაწყებულია და ისიც არა ყველგან); იმართება საეკონომიო ცენტრები, სადაც შეაქვთ და გამოაქვთ საჭირო საქონელი. ეს იზიდავს ხალხს: ვაჭარს, ხელოსანს, მუშას. იქვე იკრიბება სხვადასხვა სამმართველო და საზოგადო დაწესებულებანი, იხსნება სკოლები, თავს იყრიან განათლებული და ნასწავლი პირები. ჩნდება გონებრივი აღებ მიცემობა, ფეხს იდგამს მწერლობა და სხვა. ამასთანავე მრავლდება ქალაქები, იზრდება დაბა-სოფელი. მთელი საქართველო მიისწრაფება უმთავრეს და წვრილ ქალაქებისაკენ. ამით სხვადასხვა კუთხე შეუმჩნევლათ უახლოვდება და უკავშირდება ერთმანეთს. ეს კიდევ არაფერი. ჩვენი ვაჭარი თვალ-ყურს ადევნებს ევროპიულ ვაჭრობას; ტყობილობს, სად რომელი საქონელია ძვირი, სად რა არის საჭირო; იბარებს დამუშავებულ საქონელს და გზავნის დასამუშავებელ მასალას. ასე გასინჯეთ, სოფლის მეურნეცკი ჩაიყოლია ამ მიმდინარეობამ, ის მოცილეობას უწევს მსოფლიო ბაზარში ევროპის მეურნეს, სიმინდით, პურით, ღვინით და სხ. ამისათვის იმას ძლიერ ეინტერესება უცხოეთის ამბები, მისი ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა. ერთი სიტყვით, ცხოვრებაში გაჩნდენ ახალი პირობები და განახლდა თვით ცხოვრება.

ამგვარათ, ახალმა ცხოვრებამ დაჰბადა ახალი მოთხოვნილება, წინ წამოაყენა ვაჭრობა და აღებმიცემობა, გაართულა და გაამრავალფერა პირვანდელი სადა ურთიერთობა, შრომა ეკონომიურად დაჰყო ერის ნაწილთა შორის, ჩააყენა ქვეყანა მსოფლიო აღებ-მიცემობის კალაპოტში. სუყველა ამასთან მოსდევს ხალხის ნივთიერად გაერთიანება და საზოგადო კაცობრიობის ცხოვრებაში შესაფერი ადგილის დაჭერა. აი ამ საისტორიო გზას დაადგა ქართველობა; ჯერ მხოლოდ ერთი ბიჯი გადადგა ამ მხრით და მით ფეხი მოიმაგრა ახალ ნიადაგზე. ამით მიეცა შეურყეველი საფუძველი ქართველ ეროვნობას. ერი შეება საერთო უღელში, შეეჩვია ერთად ცხოვრებას, ერთათ მოღვაწეობას; მომზადდა ნიადაგი გონებრივი ერთობისა; ქართველობა ერთი ყელ-საბმელით შებორკილი, ერთი ჯაჭვით შემოჯაჭვული, ფხიზლდება, სალი გონებით და მახვილი თვალით იხედება (ეკონომიური წარმატება და ეროვნება—1893 წ.).

—

... საქართველოს დღევანდელი განვითარება შეიცავს ორ მხარეს, ორივეს აუცილებელს და ერთმანეთთან მჭიდროთ შეკავშირებულს: ნივთიერად გაერთიანება საქართველოს სხვადასხვა კუთხის და ნივთიერად დაყოფა ქართველი ხალხის, ორივე ხდება აღებ-მიცემობის კაპიტალის წყალობით. პირველ შემთხვევაში თუ ერი ერთიანდება იდეებით ეროვნული თვით-ცნობიერების ნიადაგზე, მეორე შემთხვევაში იგივე ერი ნაწილდება ინტერესებით ეკონომიური თვით-ცნობიერების ნიადაგზე. ყოველივე ფეხის ნაბიჯი ჩვენ მიერ წინ გადადგმული მოასწავებს ეროვნული შრომის, საწარმოვო ძალის განვითარებას—ერთი მხრით, კლასსიური განხეთქილების, სოციალური ანტაგონიზმის აღორძინებას—მეორე მხრით. ეს ორი მხარე ერთი მეორის შვილია. პირველი იწვევს მეორეს, მეორე ავითარებს პირველს. ჩვენი ცხოვრება, რომლის შინაარსს წინათ წოდებრივი წყობილება და პატრიარქალურ-იდილიური დამოკიდებულება შეადგენდა, დღეს გაევროპიელების გზას დაადგა («ივერია» და ეროვნება - 1897 წ.).

—

ეროვნული და სოციალური კითხვა—აი, ის ორი ფეხი, რომელზედაც ცხოვრება შედგა და საშინელი სისწრაფით წინ მიექანება. ეს ჩვენი არსებობის დედაძარღვია, ეს ჩვენი წარმატების საფუძველია (იქვე).

—

ჩვენი თანამედროვე ცხოვრების სარჩული ეკონომიური წარმატებაა, რამაც დაბადა ეროვნული გაერთიანება და სოციალური დანაწილება. საქართველო ერთი, განუყოფელი; საქართველო ორი სიმდიდრ-სიღარიბის მიხედვით დაყოფილი. თუ პირველ კითხვაზე ვერთდებით, მეორეზე ვიყოფით. თუ შინაურ ცხოვრებაში ვიბრძვით, გარეშე მტრის წინაალმდეგ ერთათ ვდგევართ, ეს არის არსებითი თვისება უმაღლესი განვითარების (იქვე).

—

გაევროპიელება სწარმოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე. სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპიელობა—აი რა წერია ახალ დროშაზე. ამის ამოკითხვა და ხალხის შეგნებაში გადატანა—ჩვენი დროის ისტორიული კითხვაა (იქვე).

—

... დიდათ ვაფასებთ იმ თაობას, რომელმაც დაუფასებელი ღვაწლი დასდვა მთელ საქართველოს. შეგვიქმნა მწერლობა, შეგვიმუშავა სალიტერატურო ენა, შეებრძოლა ძველ წესებს და ჩაგრულთა მომხრეთ გამოვიდა. ერთი სიტყვით ეს თაობა იბრძოდა წინსვლის, პროგრესისათვის და თვით ეს ბრძოლა გულწრფელი, უანგარო იყო... მაგრამ ნება მოგვეცით, ამავე თაობის დღევანდელ მოქმედებაში ეჭვი შევიტანოთ. ეს თაობა (უკეთ ვთქვათ, ძველი დასი) დღევანდელ ცხოვრებასაც მესამოცე წლების სათვალეებით უცქერის, მაშინ როდესაც თვით ცხოვრება საშინლად შეიცვალა, დაიბადენ ახალი პირობები, ამოცენდენ ახალი კითხვები. აი, აქ იწყება ამ დროის უკან-დახევა, ჩამორჩენა და განზე გადახვევა... ეს თაობა დღეს წინად მოხვეჭილი სახელით სარგებლობს სწორეთ ისე, როგორც მოვახშე ერთხელ შეძენილი ფულის პროცენტით სცხოვრობს. ეს გარემოება, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გამოიწვევს სამოქმედო ასპარეზზე ახალ მოღვაწეთ, იმ მოღვაწეთ, რომელნიც განაგრძობენ ძველი დროის დაწყებულს, მაგრამ მიტოვებულ საქმეს, თანახმად ახალი ცხოვრებისა და მისი მოთხოვნილებისა... (კრიტიკის კრიტიკა. 1895 წ.).

—

ოქტომბრის 22-ს (1896 წ.) ქართველობამ იდღესასწაულა თ. რ. ერისთავის 50 წლის მოღვაწეობის იუბილე. ეს დღესასწაული ისე სამაგალითო და დიდებულათ იქნა გადახდილი, რომ მიიპყრო მთელი ჩვენი ყურადღება. ერი, საუკუნეთა განმავლობაში დანაწილებულ დაქსაქსული, ვიწრო ადგილობრივი ინტერესებით გარემოცულ-კარჩაკეტილი, დღეს საერთო აზრით და მისწრაფებით, საერთო ჭირით და ლხინით ასულდგმულებულა, აღფრთოვანებულა! ერი რომელიც ვერ გააერთა სახელ-განთქმულმა მეფეებმა, ძლევა მოსილმა მხედრებმა, დღეს ერთი საქმისათვის ერთ ალაგას ხელი-ხელ გაყრილი გამოსულა! ერს, რომლის წარსულ დროშაზე შუღლი და უთანხმოება ეწერა, დღეს ერთობის, ძმობის დროშა აუფრიალებია! გურული და ხევსური, მეგრელი და თუში, ქართლელი და ქობულეთელი, იმერელი და კახელი ერთ ქალაქში ჩამოსულან, ერთ დარბაზში შეკრებილან, ერთი გრძნობით გამსჭვალულან! და ისიც რატომ? 50 წლის იუბილე მიელოცა ერთი კაცისათვის. და მერე რა კაცისათვის? მწერლისათვის, პოეტისათვის! წამოაყენეთ ირაკლი მეფე საფლავიდან და შეახედეთ,—ის გაშტერებული წამოიძახებს: გურული და მეგრელი მე ვერ ჩამოვიყვანე თფილისში, რომ კრწანისის ბრძოლაში დამხმარებოდა, დღეს კი ვილაც პოეტისთვისთვის თავის ნებით ჩამოსულან! ეს მე აღარ მესმის, აქ რაღაც სხვა ძალა ამუშავებულაო. დიახ, ახალი ძალა ამუშავდა და მას თანდათან ემორჩილება მთელი საქართველო (მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება.—1896 წ.).

—

რეფორმების შემდეგ ჩვენ ერთ და იმავე გზაზე მივდივართ, არც ერთი წუთიც ამას არ გადავცდენივართ, და თუ მწერლობა გადაცდა, ეს მწერალთა სისუსტეა და არა ცხოვრების სიძაბუნე. დროში, მესამოცე წლებში აფრიალებული, ისევ აფრიალებულია, მაგრამ მისი მატარებელი ის აღარ არის, ვინც მაშინ იყო. ის ერთიანად ხალხს გადაეცა და მან თავის გულში დამალა, ცხოვრების სიღრმეში გადაიტანა. საჭიროა მისი ისევ ზევით ამოტანა და ის, რაც ზედ დღევანდელმა ვითარებამ მოჰქარგა, საქვეყნოდ გამოჩვენება. აი ეს «მენეტეკელი» უნდა ამოვიდეს სიბნელიდან სინათლეში, შეუგნებლობისაგან შეგნებაში და გადაიქცეს მოწინავე რაზმის დროშად... ამ რაზმს ჩვენ დღევანდელი მწერლობა ველარ მოგვცემს, იმიტომ რომ ის ერთიანად გადასცდა ცხოვრების კალაპოტს, ისტორიულ ნიადაგს და მოგეხსენებათ ბურთი წინ გასროლილი უკან ვეღარ დაბრუნდება. მაგრამ ერთი ვიკითხოთ, შეეძლო კი მწერლობას სხვაფერ მოქცეულიყო? ჩვენ ვიტყვით, რომ არ შეეძლო. ეს აუცილებელი იყო, რაიცა პირველი საბუთია ცხოვრების ზრდის და წარმატებისა. მწერლობა იმიტომ დაიბნა, რომ ცხოვრება შეიცვალა, ეს ცვლილება მან ვერ ახსნა, ვერ შეიგნო და ფანტაზიას, უტოპიას მიეცა. ასეთ მდგომარეობიდან მას გამოიყვანდა მხოლოთ დასავლეთი ევროპის განვითარების გაცნობა, რომელმაც ის ხანა, რომელშიაც დღეს ჩვენ ვიმყოფებით, კაი ხანია განვლო და საკუთარი გზა გაიკვლია. შესწავლა ამ გზის, გამორკვევა მისი მიდრეკილების, ნიშნავს ჩვენი ცხოვრების გარკვევას და მერმისის გათვალისწინებას. სამწუხაროდ ჩვენი მწერლობა ამ მიმართულებას არ ადგია, ეს ერთიანად რუსული მწერლობის გავლენის ქვეშ არის, იმ ქვეყნის, რომელიც მოქალაქობრივათ ჩვენსავით უკან ჩამორჩენილია და, მაშასადამე, გზას მერმისას ვერ გვიჩვენებს... (იქვე).

—

ჩვენ, ქართველებს, რომლებმაც ერთი ევროპიული ხანა—ფეოდალური, უკვე გავიარეთ, ევროპა ვერას დაგვაკლებს. ის ჩვენი მტერი არ არის, პირიქით, ის არის სისხლი-სისხლთაგანი ჩვენიდა ხორცი-ხორცთაგანი ჩვენი. ჩვენ ჩვენითვე ვევროპიელდებით და მაშასადამე, მის გვერდით, მასთან შეკავშირებით ჩვენითვე უნდა ვიცხოვროთ. ქართველობამ თვითონვე უნდა განივითაროს ძალა, აღიძრას ენერგია, გაანაყოფიეროს შრომა. თვითმოქმედება, თვითმოძრაობა, თვითაზროვნება—აი, რა უნდა ეწეროს მის დროშაზე. ყველა ის, რაც ამ გზაზე გვაბრკოლებს, ძიძაობას გვიწევს, ასპარეზს გვივიწროებს, გვაძინებს, გვაზარმაცებს—აი, ეს ჩვენი პირდაპირი მტერია. მომავლის ორმოს ამომთხრელია. მას სურს ამ ორმოში ჩვენი ჩაყრა, რომ შემდეგ თავისუფლათ იპარპაშოს. აი, აქ სიფრთხილე, prenez garde! (იქვე).

—

როგორც არა ერთხელ მოვიხსენეთ, ის, რამაც ჩვენ წინ წაგვწია ახალი მოქმედებისაკენ გაგვაქანა, ყოფნის თუ არ ყოფნის კითხვა დაგვისვა,—არის ეკონომიური ურთი ერთობა. ამასთან მჭიდროდ შეკავშირებულია ყველა დანარჩენი მაარეები: ლიტერატურული, იურიდიული, პოლიტიკური, ეროვნული და სხვ. მაგრამ არის განვითარება და განვითარებაც. განვითარება იქნება ისიც, რომ მთელი ქართველობის ქონებას და გონებას ვილაც გადამთიელი დაეპატრონოს. და ისიც, როცა ქართველობა საქართველოში ყოველ სარბიელზე ბატონობდეს. სად არის ის ძალა, რომელიც ჩვენ ამ მეორე გზისაკენ ხელს წაგვკრავს? საიდან მოგროვდება ის შეუდრეკელი მხნეობა, რომელიც დაამარცხებს უცხო ტომთა მეტოქეობას და უმაღლეს საფეხურზე აგვიყვანს? უცხოეთიდან მოგვევლინება? სხვისი მიწის შვილი იქნება? არა, ელექტრონის ძალა, რომელიც ჩვენ გარს შემოგვხვევია და უბრალო შეხებისთანავე დამწველ ნაპერწკალს გასცემს, ჩვენშივე უნდა მოგროვდეს. ჩვენვე უნდა შევიმუშავოთ და თავი მოვუყაროთ იმ საერთო აუზში, რომელსაც ეწოდება ქართველობა, და რომლის თითოეული მართული თითოეული ქართველია. ამ მართულების შემაერთებელი ძირი ცხოვრებაა, ხოლო მათი ბოლო ეროვნობა, ეროვნული ძალაა. შეახეთ ხელი უკანასკნელს და მაშინვე გადაეცემა პირველს, შეახეთ ხელი პირველს და ერთნაირად აბობოქრდება უკანასკნელი. პირველი დაუშრეტელი შადრევანია, საიდანაც ჰაერში სცემს ანკარა წყალი. დააჭირეთ ხელი შადრევანს მაღლიდან და უეჭველათ შეჩერდება წყლის მსვლელობა. მაგრამ რამდენსამე ხნის შემდეგ შენით თუ არ მოშორდი, ის ახალ მოკრეფილი ძალღონით ჰაერში გისვრის. მოშალეთ თვითონ შადრევანი და ყოველივე გათავდა, აღარ არის წყლის სროლა, აღარც მისი ძლიერება. და აი, სწორეთ ამნაირი შადრევანია ცხოვრება, სამოქმედო ასპარეზი, და მისი განმტკიცება, გაგანიერება უმაღლესი ისტორიული დანიშნულებაა. მხოლოდ აქ არის ის ნიადაგი, რომელზედაც მაგრდება თითოეული ერი და შედის საკაცობრიო ცხოვრებაში (იქვე).

—

საქართველოში ერთ და იმავე დროს ვითარდება ორგვარი კლასიური განხეთქილება: წინაალმდეგობა ბურჟუას და თავად-აზნაურობას შორის და წინაალმდეგობა თვითონ ბურჟუას და მუშა-ხალხს შორის. პირველ შემთხვევაში რევოლიუციონურ ძალას წარმოადგენს ბურჟუაზია *), მეორე შემთხვევაში მუშა-ხალხი. პირველი მიზნის მისაღწევათ ბურჟუაზიას ეხმარება მთელი ხალხი, ვინაიდან მთელი ერის ინტერესია განთავისუფლდეს მობერებულ წყობილებიდან. აქ ბურჟუაზიის ლტოლვილება ხალხის ლტოლვილებაა. მეორე შემთხვევაში მოკავშირენი,—ხალხი და ბურჟუაზია—ნაწილდებიან ორად, რომელთა შორის სტყდება სასტიკი და უკანასკნელი ბრძოლა. აქ ბურჟუაზიის ლტოლვილება აღარ არის ხალხის ლტოლვილება. მათ შორის ღრმა ორმოა. თუ პირველი ძლიერდება ფულით, შეძლებით, და მით ბურჟუაზიული განათლებით, მეორე უნდა გაძლიერდეს ერთობით, თანხმობით და მუშური შეგნებით. აქ საძირკველი შრომაა. იქ კაპიტალი. ამ ორ ელემენტის შერიგება ვერ მოხდება, სანამ ისინი სხვადასხვა პირს ეკუთვნიან. მათი შეკავშირება, ერთ და იმავე პირში თავის მოყრა, არის ერთად ერთი საშუალება მათი შერიგების და ყოველივე განხეთქილების მოსპობის. აი, ამ ისტორიული დანიშნულებისათვის მოწოდებულია დღევანდელი მუშა-ხალხი. მან უნდა მოუღოს ბოლო ბრძოლას, რომელიც ატეხილია კაპიტალსა და შრომას შუა, მდიდარსა და ღარიბს შორის, და უდაბნოში მოტანტალე კაცობრიობა აღთქმულ ქვეყანაში შეიყვანოს. მის დროშაზე წერია: **tout pour le peuple, tout par le peuple**—ყველაფერი ხალხისათვის, ყველაფერი ხალხითვე. ვინც ამ დროშის ქვეშ იბრძვის, ის იბრძვის ხალხისათვის, ვინც ამ დროშას ებრძვის, ის იბრძვის თავისთვის, ხალხის წინაალმდეგ. დეე, მუშა-ხალხმა შეიგნოს, რაც არის და რაც არ უნდა იყოს. დეე, გამედიდურდეს, გაამპარტავანდეს, რომ მხოლოდ მას ასეთი უდიდესი მოვალეობა ისტორიამ არგუნა!.. (იქვე).

—

მესამოცე წლების ცხოვრებამ წამოაყენა ორი კითხვა: ბატონ-ყმობის გაუქმება და სამშობლო ენის დაცვა. ეს ორი დედა-აზრი შეიქმნა მაშინდელ მოღვაწეთა სახელმძღვანელოდ. პირველი კითხვა დღეს აღარ არსებობს, ბატონ ყმობის მოსპობას ყველა შეურიგდა, მეორე კითხვას გაცილებით ფართო ნიადაგი მიეცა. ეს ნიადაგი შეიცავს შემდეგ ორ კითხვას, რომელიც წამოაყენა დღევანდელმა ცხოვრებამ: ეკონომიური განვითარება მთელი ერის საეროთოდ **) და ეკონომიური განვითარება თითოეული კლასის კერძოდ. პირველი ჩვენი ეროვნული, კულტურული კითხვაა, მეორე კი კლასიური, სოციალური; უკანასკნელი პირველის ერთად ერთი შინაარსია. ეროვნული ზრდა არ არის კლასთა ბრძოლის გარეშე. წინსვლის დედა ძარღვი აქ არის დამარხული. ბურჟუაზია უარ ყოფს პატრიარქალურ ფეოდალურ ურთიერთობას და ამყარებს ბურჟუაზიულს; მუშა-ხალხი უარყოფს ბურჟუაზიულს და ამყარებს კოლექტიურს. ეს პროცესი მოძრაობაა და არა რეცეპტი და პროგრამა. აშკარაა დღევანდელ მოღვაწეთათვის ეს ორი კითავა უნდა შეიქნეს სახელმძღვანელოდ და მით გაგრძელებულ იქმნას მესამოცე წლების გონებრივი მოღვაწეობა ისე, როგორც დღევანდელი ცხოვრება მაშინდელი ცხოვრების ნივთიერი გაგრძელებაა.

როცა ეს ისტორიული მოწოდება ცხოვრებიდან გონებაში გადავა, შეგნებით გაშუქებული შეიქმნება კუთვნილებად თითოეული ქართველის, მისწვდება უკანასკნელ სოფელს, შევა უკანასკნელ ქოხში, მაშინ ხეზე შემომჯდარი მერცხალი გადმოგვძახებს:

«გაზაფხული, გაზაფხულიო».

---

*) მკითხველს ხელმეორეთ მოვაგონებ, რომ მე აქ ეკონომიური სარბიელი მაქვს სახეში; პოლიტიკაში მან შეიძლება შესაფერი როლი ვერ ითამაშოს.

**) ჩვენ აქ არ შევეხებით, იმ კითხვებს, რომელნიც შეკავშირებულია ამ მხარესთან. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს: ხალხის გამრავლება მჭიროდ შეკავშირებულია საწარმოვო ძალის განვითარებასთან. რამდენად ეს საყურადღებოა პატარა ერისათვის, თავისთავად აშკარაა.

◆ ◆ ◆

ორმოცი წელი?

გზა გოლგოთის, რომელიც კიდევ ბოლომდის განვლილი არ არის. ორმოცი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი სოციალდემოკრატიულ მუშათა მოძრაობას საქართველოში. რა იყო იმ დრომდის ქართველი მუშა, ქართველი გლეხი, მათი წრიდგან გამოსული ქართველი ინტელიგენტი? არაფერი. რა გახდა ის შემდეგ? ყველაფერი. დღევანდელი უცხო ძალების ბატონობა და ბოლშევიკური დესპოტია ჩვენში დარჩება მხოლოთ როგორც ეპიზოდი და ქართველი მუშა, გლეხი, ქართველი კაცი კვლავ გახდება ყველაფერი. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ საქართველოს ხანგრძლივ ათასწლოვან ისტორიის მანძილზე მისთვის არ გაკეთებულა იმდენი, რაც გაკეთდა ამ ორმოცი წლის განმავლობაში. ჭეშმარიტათ დღეს, ორმოცი წლის თავზე ამ ისტორიული თარილისა, ქართველ სოციალდემოკრატს უფლება აქვს იამაყოს.

თვითეული ჩვენგანი დღეს, როგორც იქ, ბრძოლის ველზე მყოფი, ისე აქ, გადმოხვეწილი, უდიდესი მადლობით და მოწიწებით მოიგონებს იმ სახელოვან მებრძოლთ, მეთაურთ და ათასობით პარტიის წევრთ, რომლებმაც თავის ძვლები უკვე მიწას მიაბარეს და მუხლს მოიდრეკს იმათი ხსოვნის წინაშე, რომლებიც შეეწირენ მსხვერპლათ ბრძოლას მეფის თუ საბჭოების, თვითმპყრობელობასან.

დღესასწაული და გლოვა! დავსტირით უდროოთ დაღუპულთ და აღფრთოვანებული მათი მაგალითით ჩვენ, ცოცხლები, დღეს ერთმანეთს ხელს ვუწოდებთ, ვაახლებთ დაპირებას განვაგრძოთ სიარული ერთხელ არჩეული გზით, შევასრულოთ ანდერძი სახელოვან გმირების—არ მოვაკლოთ არაფერი დაგროვილ და დატოვებულ მათ მიერვე სოციალდემოკრატიულ განძს და პირნათლათ ჩავაბაროთ ის მომავალ თაობას.

თვითეული ჩვენგანი, დღეს ემიგრაციაში მყოფი, ამ გრძნობით გაერთიანებულია იქ ბრძოლის ველზე მყოფ ათას და ათი ათას ამხანაგ-მეგობრებთან, საქართველოს სოც. დემ. პარტიის წევრებთან.

დღევანდელ საუბილეო დღეს თვითეული ჩვენთაგანის თვალები მიპყრობილია იმ შეუპოვარ რევოლიუციონერებისადმი, რომელიც არის პირველი პირველმოციქულთა შორის ჩვენი ერის გამოღვიძებას ამომავალ მზესავით რომ ამოყვა *). ამხ. ნ. ჟორდანია ორმოცი წლის განმავლობაში გვიძღვება წინ იმ სახელოვან დღეს ანთებული სინათლით და დროთა და გარემოების მიხედვით გვაიარაღებს ჩვენ იმ თანამედროვე იარაღით, რომელსაც სოციალდემოკრატიული იდეია და ტაქტიკა ქვია. თვითეული ჩვენგანი დღეს აღვსილი ღრმა სიყვარულით გულში მისდამი შესძახებს: ხანგრძლივი იყოს შენი სიცოცხლე, ძვირფასო მასწავლებელო, დღევანდელი იუბილიარის მთავარო მიმრქმელო!

ემ. ლომ—ძე.

პრაღა. 20 იანვარი. 1933 წ.

◆

პარტიის იუბილეის გამო

საქართველოს ს.-დ. მ. პარტიის ც. კ-ის
საზ.-გარეთულ ბიუროს თავმჯდომარეს.
პარიზში.

ძვირფასო და პატივცემულო ამხ. თავმჯდომარევ,

ნება მიბოძეთ, ამ საზეიმო დღეს—თქვენის საშვალებით საყვარელ პარტიას მივაწვდინო ხმა ძველი და ერთგული ამხანაგის, რომელიც 30 წლის განმავლობაში ჩვენი წითელი დროშის ქვეშ სდგას და იმედოვნებს.

ორმოცი წელი! თითქმის ნახევარი საუკუნეს არსებობა: განუწყვეტლივი ბრძოლა, მუდმივი ზრდა-განვითარება, მრავალი მსხვერპლი, თავგანწირვა, თავდადება, უმწიკვლო მუშაობა,—აი რას ვკითხულობთ პარტიის გრძელ ისტორიის ფურცლებზე!

ბევრს წარმოდგენაც არ შეუძლია იმ ტიტანური შრომის და რაინდული მოქმედების, რაც ამ ხნის განმავლობაში ჯერ მცირემ—ერთმა მუჭამ—შემდეგ დიდმა პარტიამ უმაგალითო ბრძოლაში გადაიტანა და გამოიჩინა. მის ძველ წევრებსაც გაუჭირდება ამის ნამდვილი დაფასება.

აღსანიშნავია, რომ არას დროს საქართველოს პარტიას (ან ქართველ სოციალდემოკრატებს, როცა ისინი რუსეთის პარტიაში შედიოდენ) არ უღალატია თავის პრინციპებისათვის და ძლიერ ხშირათ ქართველები ხელმძღვანელობასაც უწევდენ თვით იმპერიის პარტიას. სოციალისტურ ინტერნაციონალში (არ ვუყოყმანობ ეს ვსთქვა) პატარა ერის ამ პაწია პარტიას თავისი საპატიო ადგილი აქვს მოპოვებული. ხოლო თვით ქვეყნის ფარგალში—შეიძლება ითქვას—რომ ის უკვე გახდა «ერის პარტია», ისე, როგორც სოციალიზმის მამათ მთავარს კ. მარქს ქონდა წარმოდგენილი და რასაც ის მოელოდა სოც.-დემ. პარტიის განვითარების უმაღლეს საფეხურზე.

დიაღ, ეს სრული სიმართლეა! ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ სხვებიდან, ევროპიდან, მარა ერთხელ შეგნებული და ფეხზე დამდგარი, ჩვენი პარტია თამამათ დაუბრუნებს გაკვეთილებს თავიანთ ძველ მასწავლებლებს... უბედურება იმაშია, რომ კ. კაუცკისა და ჟორდანიას დიდი ხმა რჩება ხშირად «ხმათ მღაღადებელისა უდაბნოსა შინა». რა ვუყოთ, მომავალი გამოაშკარავებს სხვათა შეცდომებს, ჩვენს სიმართლეს, ჩვენ მიერ ნაქადაგევ ჭეშმარიტებას.

ადგილის უქონლობის გამო აქ მეტს არას ვიტყვით. დავსძენთ კი:

ჩვენი პარტიის 40 წლის არსებობის აღნიშვნის დღეს მუხლი მოვიდრიკოთ ბრძოლაში დაკარგულ და დახოცილ ამხანაგების ხსოვნის წინაშე, რომელთა რიცხვი განსაკუთრებითი სისწრაფით გაიზარდა ჩვენი ქვეყნის ახალი და უუსასტიკესი ტირანების ხელში ჩავარდნის შემდეგ. ვუსურვოთ აგრეთვე მამაცობა და გამარჯვება იმათ, ვინც დღევანდელ აუტანელ პირობებში კიდევ განაგრძობენ ბრძოლას ჩვენი პარტიის რიგებში იქ, სამშობლოში.

რა ვუყოთ, თუ პარტია დროებით ძველებურათ ვერ შლის თავიანთ ფართო ფრთებს, ამისთვის არსებობს საპატიო მიზეზი. მარა ის «არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს» და თავის დროზე «ისევე გაიღვიძებს»!

მაშ, კვლავ ბრძოლის ველზე პარტიის სასახელოთ!... არ ჩაიკლას გულში იმედი! ღამე მუდმივი არ არის, გათენდება და თავისუფლების მზეც ამოანათებს!

გაუმარჯოს ჩვენ სახელოვან პარტიას და მის მხცოვან ბელადს. დიდ ნოეს, ქართველი ერის საკეთილდღეოთ და დემოკრატიული სოციალიზმისთვის!

ანტონ ჟორჟოლიანი (ანჟანი).

საფრანგეთი. 1933 წ. იანვარი.

◆

---

*) ამხ. ვლ. მგელაძის სიტყვიდან.

◆ ◆ ◆

„ბრძოლის ხმის“ ექსპედიციისაგან

«ბრძოლის ხმის» გამოწერა შეიძლება
ამხ. პ. სარჯველაძესთან შემდეგი მისამართით:
Mr P. Sardjveladze
2, rue de Varenne. Paris (7)

Arpajon— Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.

Le Gérant : René Toussaint.